



შირაქი

SHIRAKI

გამოქვეყნდა 1937 წლიდან
დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის ბაზაში

№36 (9.896)

28 სექტემბერი-2 ოქტომბერი 2019 წელი

ფასი: 50 თეთრი

ყოველკვირეული გამოცემა

სოხუმის
დაცემიდან 26
წელი გავიდა



გვ. 3

„განათლება
თავისუფლება“...
გვ. 5



ფიროსმანის
მუზეუმის ეზოში
ვიზიტორთა
ცენტრი შენდება



გვ. 3

არხილოსკალოს მალე ახალი საბავშვო ბაღი ექნება



არხილოსკალოს საბავშვო ბაგა-ბაღის შენობის სრული სარეაბილიტაციო სამუშაოები დასკვნით ეტაპზეა. მიმდინარე ინფრასტრუქტურული პროექტი დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერმა ნიკოლოზ ჯანიაშვილმა, საკრებულოს თავმჯდომარემ ნუგზარ პაპიაშვილმა, მერის მოადგილე დავით ფხოველიშვილმა და მერიის ზედამხედველობის სამსახურის უფროსმა კობა ქურციკიშვილმა დაათვალიერეს.

არხილოსკალოს ბაგა-ბაღის მშენებლობა უახლოეს პერიოდში დასრულდება, რის შემდეგაც სოფელს ახალი, თანამედროვე სტანდარტების სკოლამდელი აღზრდის დაწესებულება ექნება.

ველისციხეში ძველი ქვევრები და, სავარაუდოდ, საფლავის ქვა აღმოაჩინეს



გურჯაანის მუნიციპალიტეტის სოფელ ველისციხეში, მარნის დემონტაჟის დროს ორტონიანი ქვევრი და ბაზალტის მოზრდილი ქვა აღმოაჩინეს, რომელზეც მხედრული დამწერლობით შესრულებული წარწერებია.

გურჯაანის მუნიციპალიტეტის მერიის ძეგლთა დაცვის სპეციალისტმა, თამაზ მარკოზაშვილმა „რეგინფოს“ უთხრა, რომ ქვევრი და ქვა კერძო საცხოვრებელ სახლში არსებული მარნის დემონტაჟის დროს იპოვეს. ამ დროისთვის მიწიდან მხოლოდ ერთი ქვევრია ამოღებული. რაც შეეხება საფლავის ქვას, როგორც მარკოზაშვილი ამბობს, მასზე ძველი მარნის ერთ-ერთი კედელი იყო დაშენებული. ქვაზე დატანილი წარწერა ჯერ არ არის გაშიფრული.

„გარედან ქართული აგურით მოპირკეთებული წარწერებიანი ქვა შესაძლოა, უცნობი პიროვნების საფლავის ქვას წარმოადგენდეს“, — ამბობს თამაზ მარკოზაშვილი.

მისივე ინფორმაციით, აღმოჩენის შესახებ ჯერ არ უცნობებიათ კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოსთვის. თამაზ მარკოზაშვილი ვარაუდობს, რომ მარანი XVIII-XIX საუკუნეებში იყო აშენებული.

გენერალი ნიკოლოზ ჯანჯღავა ავღანეთში ნატოს მისიაში უსაფრთხოების საკითხებში შტაბის უფროსის მოადგილის თანამდებობას დაიკავებს



საქართველოს თავდაცვის ძალების მეთაურის პირველი მოადგილე, ბრიგადის გენერალი ნიკოლოზ ჯანჯღავა ავღანეთის ისლამურ რესპუბლიკაში, ნატოს „მტკიცე მხარდაჭერის მისიის“ მმართველობაში, უსაფრთხოების საკითხებში შტაბის უფროსის მოადგილის თანამდებობას (Deputy DCOS Security Assistance) დაიკავებს. საქართველოს თავდაცვის ძალების მეთაურის მოადგილე აღნიშნულ თანამდებობაზე ერთი წლის განმავლობაში იმუშავებს.

ავღანეთში გამგზავრებამდე ბრიგადის გენერალ ნიკოლოზ ჯანჯღავას საქართველოს თავდაცვის მინისტრი ირაკლი ლარიბაშვილი შეხვდა. შეხვედრას საქართველოს თავდაცვის ძალების მეთაური, გენერალ-ლეიტენანტი ვლადიმერ ჩაჩიბაია დაესწრო.

ნატოს „მტკიცე მხარდაჭერის მისიის“ მმართველობაში (ქაბული) საქართველოს თავდაცვის ძალების წარმომადგენელი მალა თანამდებობას პირველად დაიკავებს. „მტკიცე მხარდაჭერის მისიის“ სამხედრო მართვის რგოლი ტრადიციულად ნატოს წევრი ქვეყნების უმაღლესი ოფიცრების შემადგენლობიდან კომპლექტდება.

ნატოს სამშვიდობო ოპერაციის მართვის პროცესში ქართველი გენერლის ამოცანას წვრთნების, რჩევისა და დახმარების ღონისძიებების (Training Advising Assisting) უზრუნველყოფა წარმოადგენს. ბრიგადის გენერალი ნიკოლოზ ჯანჯღავა ავღანეთის ისლამური რესპუბლიკის მთავრობასა და ნატოს უმაღლეს სამოქალაქო წარმომადგენელს შორის მჭიდრო სამხედრო-დიპლომატიური კავშირების განმტკიცებაზე იქნება პასუხისმგებელი. ავღანეთის ეროვნული თავდაცვისა და უსაფრთხოების ძალების მზადყოფნის ამაღლების მიზნით, საქართველოს თავდაცვის ძალების მეთაურის მოადგილე საერთაშორისო მრჩეველების მუშაობას კოორდინირებასა და კონტროლს გაუწევს.

ნორვეგიის პრემიერმა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის მიმართ მხარდაჭერა გამოხატა

გაეროს-ს გენერალური ასამბლეის ფარგლებში საქართველოს პრეზიდენტი ნიუ-იორკში ნორვეგიის სამედიცინო-მინისტრს, ერნა სოლბერგს შეხვდა და ორმხრივი ურთიერთობის განვითარებასთან ერთად საქართველოს ევროატლანტიკურ ალიანსში ინტეგრაციის პროცესზე ისაუბრა. ამის შესახებ ინფორმაციას საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაცია ავრცელებს.

საქართველოს პრეზიდენტმა ნორვეგიის პრემიერს დეტალური ინფორმაცია მიაწოდა საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე შექმნილ ვითარებასთან დაკავშირებით და აღნიშნა, რომ ამ საკითხში საქართველოს პარტნიორების, მოკავშირეებისა და საერთაშორისო თანამეგობრობის მჭიდრო ჩართულობა. ნორვეგიის პრემიერმა კიდევ ერთხელ დააფიქსირა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისა და საქართველოს ჩრდილოატლანტიკურ ალიანსში ინტეგრაციის მხარდაჭერა და საქართველოში განხორციელებულ რეფორმებს მალალი შეფასება მისცა. მხარეებმა ისაუბრეს ასევე რეგიონულ და საერთაშორისო ჭრილში შავი ზღვის მნიშვნელობაზე, როგორც ეკონომიკური ურთიერთობების, ასევე რეგიონული უსაფრთხოების თვალსაზრისით. ქართული მხარე მიესალმა და მნიშვნელოვანი ფაქტი უწოდა თბილისში ნორვეგიის საელჩოს გახსნას და პირველი რეზიდენტი ელჩის დანიშვნას.

ხელისუფლების წარმომადგენლები მირზაანში, არბოშიკსა და ოზაანში



რეგიონებში ხელისუფლების წარმომადგენელთა შეხვედრები გრძელდება.

ქახეთის მხარეში სახელმწიფო რწმუნებული ირაკლი ქადაგიშვილი, დედოფლისწყარო-სიღნაღის მაჟორიტარი დეპუტატი ირაკლი შიოლაშვილი, დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერი ნიკოლოზ ჯანაიანი და საკრებულოს თავმჯდომარე ნუგზარ პაპიაშვილი ადგილობრივი ხელისუფლების სხვა წარმომადგენლებთან ერთად მირზაანის, არბოშიკისა და ოზაანის მოსახლეობას შეხვდნენ.

აღნიშნული შეხვედრების მიზანი მოსახლეობის პრობლემების ადგილზე გაცნობა და 2020 წლის ბიუჯეტში არსებული საჭიროებების გათვალისწინებაა.

სამივე ადმინისტრაციულ ერთეულში მთავარ გამომწვევად სასმელი წყლის პრობლემა დასახელდა.



სამეცნიერო კონგრესი - მეცნიერება მოგზაურობის დროს გაიმართა

სამეცნიერო კონგრესი სახელწოდებით „მეცნიერება მოგზაურობის დროს“ გაიმართა, რომლის ფარგლებშიც შეხვედრაზე მედიცინის აქტუალური საკითხები განიხილეს. ამის შესახებ „ინტერპრესნიუსს“ ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროდან აცნობეს.

მათი ინფორმაციით, კონგრესი ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის პირველმა მოადგილემ გახსნა. თამარ გაბუნია ფორუმის ორგანიზატორებსა და წევრებს ღონისძიების საქართველოში ჩატარებისთვის მადლობა გადაუხადა. ამასთან, მინისტრის პირველმა მოადგილემ ჯანდაცვის სფეროში არსებულ გამოწვევებზე ისაუბრა და კონგრესის მონაწილეებს სამინისტროს მიღწევები გააცნო.

კონგრესში მონაწილეობას 130 გერმანელი, ავსტრიელი და შვეიცარიელი ექიმი იღებს, რომლებსაც მინისტრის მოადგილე, ავსტრიის ელჩის რეზიდენციაში, 27 სექტემბერს შეხვდა.

უწყების ცნობით, კონგრესი 10 წელია იმართება მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში, რომლებიც მათი ისტორიის მედიცინასთან კავშირით ირჩევა.

ნიუ-იორკში შედგა დავით ზალკალიანისა და სერგეი ლავროვის შეხვედრა

რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრო ავრცელებს ცნობას რუსეთისა და საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრების შეხვედრის შესახებ. სამინისტროს ოფიციალური ვებ-საიტის თანახმად, სერგეი ლავროვისა და დავით ზალკალიანის შეხვედრა 26 სექტემბერს გაეროს გენერალური ასამბლეის პარალელურად შედგა და მის ორგანიზებაში მონაწილეობდა შვეიცარია, რომელიც ორ ქვეყანას შორის დიპლომატიური ურთიერთობების არარსებობის პირობებში მუშაავლის როლს ასრულებს. რუსეთის საგარეო უწყების ცნობით, „საუბრის მსვლელობისას, განხილული იყო ორმხრივი დღის წესრიგის აქტუალური საკითხები. გაიცვალა მოსაზრებები რეგიონული უსაფრთხოების პრობლემატიკაზე“.

მთავრობის პრესსამსახურმა გაავრცელა პრემიერმინისტრის სპეციალური წარმომადგენლის, ზურაბ აბაშიძის კომენტარები. ერთ-ერთი კომენტარი ასეთია: „თითქმის ყველა შეხვედრაზე, ჩვენმა დელეგაციამ ჩვენი დასავლელი პარტნიორებისგან მიიღო გზავნილი, რომ სასურველია, შედგეს კომუნიკაცია რუსეთის მხარესთან. ამის შემდეგ იყო შემთავაზება ჩვენი შვეიცარიელი მეგობრებისგან, კოლეგებისგან, რომ მათი ჩართულობით ასეთი კომუნიკაცია შედგეს. ჩვენმა დელეგაციამ გაიარა შესაბამისი კონსულტაციები ჩვენს სტრატეგიულ პარტნიორებთან და ამის შემდეგ ჩვენმა დელეგაციამ დაუდასტურა შვეიცარიელი მეგობრებს, რომ მზად არიან ამ კომუნიკაციისთვის. დამატებით ინფორმაციას ჩვენ ველით ნიუ-იორკიდან. როგორც კი მივიღებთ

მსურს გავაფრთხილო მსოფლიო, აფხაზური იდენტობა განადგურების ზღვარზეა — სალომე ზურაბიშვილი

საქართველოს პრეზიდენტი სალომე ზურაბიშვილი გაეროს გენერალური ასამბლეის 74-ე სესიაზე სიტყვით გამოვიდა. თავის გამოსვლაში ის რუსეთის მიერ საქართველოს ორი რეგიონის ოკუპაციასა და შეეხებოდა ოკუპირებულ ტერიტორიებზე არსებულ ვითარებაზე ისაუბრა.

„როგორც საქართველოს პრეზიდენტი, დღეს მე აქ ვსაუბრობ იმ ადამიანების გაჭირვებაზე, რომლებიც ადმინისტრაციულ საზღვართან ცხოვრობენ. ცხოვრობენ იმ ზოლზე, რომელიც ნათესავებს ერთმანეთს ამორებს და სოფლებს ხლეჩს, სადაც უბედური შემთხვევები და პროვოკაციები ყოველდღური ცხოვრების ნაწილია, სადაც აქტიურად მიმდინარეობს საზღვრების გადანევა, რაც შეუძლებელს ქმნის ნორმალურ მშვიდობიან ცხოვრებას. მე ვსაუბრობ ჩვენი მოქალაქეების სახელით, რომლებიც აფხაზეთისა და ცხინვალის ოკუპირებულ ტერიტორიებზე ცხოვრობენ, სადაც მუდმივად ირღვევა ადამიანის უფლებები, იზღუდება გადაადგილების თავისუფლება, ჯანმრთელობისა და განათლების მომსახურების ხელმისაწვდომობა.“

ორივე რეგიონის საზღვრებზე განთავსებული გამშვები პუნქტები პერიოდულად იკეტება, რაც ადამიანების ტანჯვას იწვევს.

ჩემი გამოსვლით მსურს გავაფრთხილო მსოფლიო, რომ ოკუპირებულ აფხაზეთში აფხაზური ენა (რომელიც აღარებულა საქართველოს კონსტიტუციის მიერ), და აფხაზური იდენტობა განადგურების ზღვარზეა, აფხაზი ერის დემოგრაფიული მდგომარეობა კატასტროფულად არის შემცირებული.

აფხაზური ენის, იდენტობისა და ტრადიციების დაკარგვა სამყაროსათვის ალუფსებელი დანაკარგი იქნება. ჩვენი ყველაზე უნდა გავერთიანდეთ, რათა დავიცვათ და გადავარჩინოთ ეს მდიდარი კულტურული მრავალფეროვნება, რის გამოც არაბები კავკასიას „ენათა მთად“ მოიხსენიებდნენ. მე ვსაუბრობ იძულებით გადაადგილებულ პირთა და ლტოლვილთა სახელით, რომლებიც უკვე ათწლეულების მანძილზე ვერ უბრუნდებიან მამიპაპისეულ სახლებსა და მიწა-წყალს“, — განაცხადა სალომე ზურაბიშვილმა.

მისივე თქმით, საქართველო პატივს სცემს 2008 წლის ცეცხლის შეწყვეტის შესახებ შეთანხმების ფარგლებში აღებულ ვალდებულებებს.

„ომის ტრაგედიაზე ჩვენი პასუხი მრავალ კომპონენტს ითვალისწინებს: ჩვენი პასუხი ითვალისწინებდა ამ პერიოდის განმავლობაში მშვიდობის შენარჩუნებასა და განვითარების უზრუნველყოფას; ეს ყოველივე მიღწეული იყო იმის შედეგად, რომ ჩვენი ვასრულებთ ცხატულ პირობას და პატივს ვცემთ 2008 წლის ცეცხლის შეწყვეტის შესახებ შეთანხმების ფარგლებში აღებულ ვალდებულებებს; შესაბამისად, საოკუპაციო ხაზის მახლობლად არანაირი სამხედრო ძალები არ გვყავს განთავსებული. აგრეთვე საქართველომ ცალმხრივად თქვა უარი ძალის გამოყენებაზე.“

ჩვენი პასუხი იყო განვადი ხელი „ნაბიჯი უკეთესი მომავლისკენ“, რაც საშუალებას აძლევს ოკუპირებული ტერიტორიების მოქალაქეებს, (იმ შემთხვევებში, როდესაც მათ ხელს არ უშლიან და არ უკრძალებენ) ხელი მიუწვდებოდეთ ჯანდაცვისა და განათლების სისტემების შეღავათებზე, ისარგებლონ ბიზნეს შესაძლებლობებით და მონაწილეობა მიიღონ, თუნდაც არაპირდაპირ, (თუნდაც მინიმალური) საქართველოს ეკონომიკურ განვითარებაში.

ჩვენი პასუხი ღიაობასა და ტოლერანტობას გულისხმობს. გასულ წელს ჩვენ 1 500 000 რუსი ტურისტი მივიღეთ და არც ერთი ინციდენტი არ დაფიქსირებულა. ჩვენი პასუხი ეკონომიკური და დემოკრატიული განვითარების ჩვენს მიერ დასახულ გზაზე წინსვლას გულისხმობს“, — განაცხადა სალომე ზურაბიშვილმა.

ამ ინფორმაციას, რა თქმა უნდა, გაავრცნობთ ამის შესახებ“.

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრომ მოგვიანებით გაავრცელა ინფორმაცია დავით ზალკალიანისა და სერგეი ლავროვის ნიუ-იორკში გამართული შეხვედრის შესახებ. უწყების თანახმად, შეხვედრა „შვეიცარიის კონფედერაციის ინიციატივითა და ორგანიზებით გაიმართა“.

საქართველოს საგარეო უწყების თანახმად, „შეხვედრაზე ქართული მხარის მიერ დაისვა საქართველოს ტერიტორიების დეოკუპაციის საკითხი, საუბარი შეეხო არსებული უსაფრთხოების გარემოსა და ოკუპირებულ ტერიტორიებზე განვითარებულ პროცესებს, ასევე საქართველო-რუსეთის ურთიერთობებში არსებულ პრობლემურ საკითხებს“.

სოხუმის დაცემიდან 26 წელი გავიდა

სოხუმის დაცემიდან 26 წელი გავიდა. ომის სურათი უცვლელია - ცეცხლი, ცხედრები, იძულებით მიტოვებული სახლ-კარი და ახლობელთა საფლავები... შიში, გადარჩენისთვის ბრძოლა და სიკვდილის გზა-ჭუბურის უღელტეხილი, რომელიც ბევრისთვის ვერგადალახულ ბარიერად იქცა. გაყინული ხელებით გაყინული ახლობლების გაპატიოსნებაზე და დასაფლავებაზე ფიქრი, მოროდით-რების სიმრავლე და გაძარცვული ქართველები - ჩვენი უახლესი ისტორიის კიდევ ერთი შავი ლაქა და სირცხვილი. რამდენ რამეს იტევს ეს ომი, მანამდეც და ომის შემდეგ გადატანილ უამრავ ფაქტს, ლაღატისა თუ ურთიერთთანადგომის მაგალითებს, ემოციას, ვერაძლეულ ტკივილსა თუ ცხოვრების სიყვარულს...

ეს არ იყო ქართულ-აფხაზური ომი, -იტყვიან მერე, წლების შემდეგ. სიმართლის შესახებ არ იცოდა ბევრმა, მათ შორის აფხაზმა. ქართველებთან ერთად ისინიც დაზარალებულნი. დღეს აფხაზეთში ეთნიკურად აფხაზები სულაც არ გრძნობენ თავს ამ მიწის ბატონ-პატრონებად. ისინიც რუსული ავტორიტარული რეჟიმის მსხვერპლნი აღმოჩნდნენ. დღეს ისინიც აღიარებენ, რომ მოატყუეს. გვიანია, მაგრამ არა მომავალი თაობისათვის, რომელსაც რეალური თავისუფლება და წინსვლა სწყურია. ქართველები არ ვივინყებთ აფხაზეთს... იმედია, არც აფხაზები ივინყებენ იმ აფხაზეთს, რომლის კეთილდღეობაზეც ოცნებობდნენ და დაარწმუნეს, რომ ბედნიერება მხოლოდ საქართველოსგან თავის დაღწევაშია!

ჩვენ მოგვატყუეს!
ტყუილი კი, ადრე თუ გვიან მარცხდება!

სოხუმის დაცემიდან 26 წელი გავიდა. ომი 13 თვე და 13 დღე გაგრძელდა და 1993 წლის 27 სექტემბერს, სოხუმის დაცემით დასრულდა. აფხაზეთში სამხედრო დაპირისპირებას 14 ათასამდე ადამიანი ემსხვერპლა. 300 ათასი აფხაზეთიდან დევნილი კი უსახლკაროდ დარჩა.

* * *

გთავაზობთ ნაწყვეტს მწერალ ბექა ქურხულის ნიგნიდან „ღია კარის ქვეყანა“.

ნაწყვეტი სოხუმის დაცემის შესახებაა.

„სოხუმი, ძველი ქართული ქალაქი, გაქრა. ოღონდ თავისი დიდი წინაპრის, დიოსკურიისგან განსხვავებით, ზღვში არ ჩაძირულა, ცეცხლის ალს აჰყვა ცაში.“

იმის დასასაბუთებლად, რომ სოხუმი ქართული ქალაქია, ისტორიულ არქივებში ჩაძრომას და მემატინეების მოხმობას, არ ვაპირებ, არ შეგეშინდეთ, თუმცა ამის დამადასტურებელი დოკუმენტები საკმარისზე მეტია, მაგრამ ახლა ამაში არ არის საქმე... მთავარი ის არის, რომ სოხუმი ამავე დროს რა თქმა უნდა ძველი, აფხაზური ქალაქია, ისევე

აღმოჩნდა. ამ დღეს ქართველებმა და აფხაზებმა ერთმანეთის ხოცვა დაიწყეს (მსგავსი რამ 1989 წლის ივლისშიც მოხდა რასაც ძალიან იშვიათად იხსენებენ და ვოვა ვეკუასა და სხვა ქართველი და აფხაზი ბიჭების სიკვდილით დამთავრდა, მაგრამ ეს მაინც შეტაკებაა და არა ომი). დაიწყო სისხლისმღვრელი, ხანგრძლივი და გამორჩეულად სასტიკი ომი, როგორც ეს ჩვეულებრივ ხდება, როდესაც ახლობელი ადამიანები დაერევიან ხოლმე ერთმანეთს...

„სამოქალაქო ომი, ომი კი არა ავადმყოფობაა“, — დაწერა ანტუან



როგორც ამ კუთხის მკვიდრი შერვაშიძეები, ანჩაბაძეები, აფაქიძეები, ემხვარები, მარლანიები, ჩქოტუები, მარშანიები, ინალ-ფები, გურგულიები, ძველი ქართული და ძველი აფხაზური არისტოკრატიული გვარების შთამომავლები არიან.

ამ ქალაქს ბევრი რამ გადახდენია თავს. უნახავს ბიზანტიელიც და გენუელიც, თურქის ფაშაც და რუსული ხიშიციც, მუჯაპირობის ცოდო-ბრალიც და ქალაქზე ზარბაზან დამიზნებული ბოლშევიკური კრეისერი „შმიდტიც“. ქალაქის თავი თოდრიაც, თავადი უჯუხ ემხაც და მისი აფხაზი ძიძიშვილის, ჰაკი აძბას თავგანწირვაც, მაგრამ ის რაც აფხაზეთში 1992 წლის 14 აგვისტოს დაიწყო, სოხუმის იატორიაში გადამწყვეტი და საბედისწერო

დე სენტ-ეკიუპერიმ ესპანეთის სამოქალაქო ომის დროს, სადაც ბარსელონის რკინიგზის სადგურზე, კატალონიელმა ანარქისტებმა კინაღამ კაი გემრიელად მიახვრიტეს...

აფხაზეთის ომში ფრონტის ხაზი, როგორც სამხედრო, ასევე პოლიტიკური და იდეოლოგიური თვალსაზრისით სწორედ სოხუმზე, გუმისთაზე გადიოდა. ეს ერთის მხრივ უდავოდ იყო რუსეთ — საქართველოს ომი აფხაზეთისთვის და მეორეს მხრივ, სამოქალაქო ომის და ძველი კავკასიური ვენდეტის უცნაური და კომპარული ნაზავი, რომელმაც ორივე მხრიდან უამრავი სიცოცხლე შეიწირა. სოხუმი ჩვენი თაობის ტკივილის, იმედის, ლაღატის, ბრძოლის, ჰეროიზმის, ორი ერის ტრაგედიის სიმბოლოდ იქცა.

სოხუმი გაქრა. სოხუმი, ღმერთმა სიკეთე მისცეს და ველარასოდეს იქნება ისეთი, როგორც 1993 წლის 27 სექტემბრამდე, 1992 წლის 14 აგვისტომდე იყო. ჩემი ღრმა რწმენით აფხაზეთის და სოხუმის ტრაგედიის ათვლა სწორედ 14 აგვისტოდან უნდა დავიწყოთ და არა მხოლოდ იმიტომ რომ ომამდე მოსახლეობის 70 პროცენტი ქართველი იყო, ანუ, პროცენტულად უფრო მეტი ვიდრე თბილისის ქართველობა, არამედ სხვანაირი, არასაბჭოთა და ლამის ანტიკომუნისტური სილაღისა და ზღვისპირა ქალაქებისთვის დამახასიათებელი განუმეორებელი კოლორიტის გამო. უნიკალური აფხაზურ-ქართულ-რუსულ-ბერძნული სლენგით, თავისი „ვასიათი“, თავისი კაფე „ამრათი“, თავისი „სოხუმი — გოროდ ბებ ფრაეროვ“ და გიჟი მარადონათი, რომელიც ტაფაზე კოვზით უკრავდა და უბერამდა: — „ია მარადონა, ია მარადონა, მარადონა ლუბიტ ჟენშინი“...

სოხუმი — ასეთი ქალაქი აღარასოდეს იარსებებს, როგორც დიოსკურია ველარ ამოვა შავი ზღვის ფსკერიდან.

27 სექტემბერს, ისევ 1992 წლის 14 აგვისტო და ერთი აფხაზის ნერვიული ყვირილი მაგონდება: — „ია, ვიტალიკ ჭანია, ზღვის ვსე მენია ზნაიუტ, ზაჩემ ეტა ვასკა ზდეს, ზაჩემ ნამ სტრელიატ დრუგ ვ დრუგა...“ რატომღაც სულ ეს ვიტალიკა ჭანია მახსენდება და ასევე ძველი, სოხუმური სულელური ბლატნოი სიმღერის სიტყვები, რომელიც ახლა, ამდენი ომის, სისხლისა და უბედურების მერე ასეთი ნიშანდობლივი გახდა:

„ი, ხაჩუ ია კაკ ი პრეჟდე, ჟი ვ სუხუმი ბეზაბოტნა!..“

სოხუმი გაქრა, მაგრამ თავისი წინაპარი დიოსკურიისგან განსხვავებით, ზღვის ტალღებმა კი არ ჩანთქა, ცეცხლის ალს აჰყვა ცაში... და როგორც დიოსკურია ველარ დააღწევს თავს შავი ზღვის ფსკერს...

თუმცა ვინ იცის!
აფხაზეთის ომში და სოხუმში ბევრი ძალიან მაგარი აფხაზი და ქართველი ბიჭი დაიღუპა. მე კი ვზივარ და ვწერ აქ რაღაცეებს!..

ეს კი საკმარისზე მეტია ძალიან მურტლად იგრძნოს თავი კაცმა!..“

მასალა მოამზადა
ინგა შიოლაშვილმა

სოფელ მირზანში, ფიროსმანის მუზეუმის ეზოში, პიზიტორთა ცენტრი შენდება

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ მირზანში ნიკო ფიროსმანაშვილის სახლ-მუზეუმის ეზოში, შესასვლელ კართან, კიდევ ერთი პროექტის განხორციელება მიმდინარეობს.

როგორც ფიროსმანის მუზეუმის მმართველმა დალი აბაშიძემ გაზეთ „შირაქს“ განუცხადა, შესასვლელში მოეწყობა თანამედროვე სტანდარტებით მოწყობილი მრავალფუნქციური შენობა. იდეის ავტორების განმარტებით, მასში განთავსებული იქნება ბილეთების სალარო, მცირე ზომის სავაჭრო ობიექტი სუვენირებისთვის და საპირფარეოები ვიზიტორებისთვის. ამ დრომდე ბილეთების რეალიზაცია ერთიან სივრცეში ხდება.

ამას გარდა, შენობის გვერდით მოწყობილი იქნება ტურნიკეტების ნაკვეთურები ვიზიტორთა გასატარებლად და ტერიტორიაზე შესასვლელი ჭიშკარი ავტოტრანსპორტისთვის.

პროექტი „ვეროკავშირი საქართველოსთვის“ საგრანტო კონკურსის ფარგლებში დაფინანსდა

ასევე საგრანტო პროგრამით დაფინანსდა და წინა წლებში უკვე დასრულდა ამავე ეზოში მდებარე ნიკალას ბიძაშვილების საცხოვრებელი სახლის ძირეული სარეაბილიტაციო სამუშაოები. მანამდე მუზეუმის ეზოს კართან სახლის ნანგრევები იყო შემორჩენილი. შენარჩუნებულია ავთენტურობა და სტანდარტების სრული დაცვით მოხდა მისი აღდგენა.



სოფელი გადაბჰპარჩენს?

საქართველოში პოლიტიკოსები და არაპარტო პოლიტიკოსები, ძველის გამოწვევით ბაზრის მთავარ წყაროდ სოფლის მეურნეობას ხშირად ასახელებენ. ვადაში კი საპირისპიროა. 1998 წელს სოფლის მეურნეობის წილი საქართველოში 28% იყო, 2008 წელს - 9.4%, ხოლო 2018 წელს 8%. ამონიშნავს სოფლის მეურნეობის წილის შემცირება არ ნიშნავს, რომ საქმი ცუდადაა. ყველა განვითარებაში ძველის გამოწვევით მცირდება სოფლის მეურნეობის წილი, როდესაც ისინი განვითარების ეტაპებს გადიან. რაც უფრო სწრაფად ვითარდება, სოფლის წილი მით უფრო სწრაფად მცირდება. მართალია, ცალკე აღვხედოთ სოფლის მეურნეობას ვითარდება, მაგრამ სხვა სექტორები იმდენად სწრაფად ვითარდება, რომ მისი წილი მცირდება.

ქართველები, რომელთაც უცხოეთში არ უმოგზაურიათ, ვერ წარმოიდგენენ, რა ხარისხობრივი განსხვავებაა ჩვენსა და იქაურ აგრარულ წარმოებას შორის. ჩვენი ექსპერტების აზრით, აგრარული სექტორის გადარჩენა მარტივია: ხორბლის თესვის დარიგება გლეხებისთვის, მექანიზაციის (წმინდა კომუნისტური პერიოდის ტერმინოლოგია) ან მელორაციის განვითარება, სანავის დარიგება, მოსავლის სახელმწიფოს მიერ შესყიდვა-ჩაბარება, მინერალური სასუქებით მომარაგება და სხვა.

ამ დროს, გლეხს ეს საკითხი აშკარად უფრო კარგად ესმის. მას საქმის წამოწყება საერთოდ არ უნდა, მანამდე სანამ გასაღების ბაზარს არ გაარკვევს. ამით საკმაო ეკონომიკურ გამჭვირვალეობას ამუშავებს კიდევ — უფრო მეტს, ვიდრე ბევრი ექსპერტი. **ვალიშვილი, 65 წლის დედოფლისნა-რომილი გლეხი:** "მაქვს ორი ჰექტარი მიწის ნაკვეთი, ძალიან დიდ პრობლემებთან იყო დაკავშირებული ამ ფართობის დამუშავება. პატარა მიწის ნაკვეთებისთვის ტექნიკას ძნელია თუ იშვიათად შეიძლება ურჩევნია დიდ ნაკვეთებში შესვლა, ამიტომ იძულებული გახდით, გაეჯერათ და რასაც გადამიხდიან (მოსავლის სახით), იმას დავეჯერდეთ. წვილი მინათმომქმედებთან ერთად პრობლემებზე საუბრობენ მსხვილი ფერმერებიც."

"კომბაინის ფული მაქვს გასასტუმრებელი, 200-მამდე ნათესი მაქვს... როგორც სხვა ქვეყნებში, მთავრობას სუბსიდირებას არ ვთხოვთ, ისედაც ბევრი პრობლემაა, მაგრამ, იქნებ როგორმე რეალიზაციაში დაგვეხმარონ, ან სახელმწიფო მარაგები შექმნან, ან მომსახურებაზე ბარტერი დაანესონ", - ამბობს ფერმერი. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენს რაიონში მოყვანილი მარცვლეული, საქართველოს ბაზრის მოთხოვნას ვერ აკმაყოფილებს, ფერმერებსაც აქვთ პრობლემები მარცვლეულის რეალიზებასთან დაკავშირებით - ან მყიდველი არ არის, ან საკმაოდ დაბალია ფასი და მოსავლის მოყვანის ხარჯებსაც ვერ ფარავს.

ხორბლის შემდეგ საქართველოში ნომერ პირველ საკვებად კარტოფილი ითვლება. მას ყველაზე დიდ რაოდენობით სამცხე-ჯავახეთში აწარმოებენ. გასაღების პრობლემა ამ რეგიონშიც მწვავედ დგას.

ახალციხეში, სოფელ წნისში თემურ ჩაღუნელმა 1.5 ჰა-ზე 30 ტონა კარტოფილი მოიყვანა. ამბობს, რომ მოსავალი კარგია, თუმცა ვერ ყიდის: „მაქვს 50 თეთრის იხიანი, ასე ხარჯსაც კი ვერ ამოვიღებ და მოგებაზე ლაპარაკიც ხომ ზედმეტია. ჯერ ვინახავ, იქნებ ფასმა აიწიოს და მერე ვაპირებ გაყიდვას. კარტოფილს სახლში, ჩემს საწყობში ვინახავ“.

10 ჰექტარზე ჰქონდა კარტოფილი დათესილი ახალციხეში, სოფელ ჭაჭარაქში მცხოვრებ ნაჩატურ ამბარანს: „მინიდან არ გაყიდე, ცოტას მადლევდნენ, 40 თეთრს. ამიტომ შევიჩინე და ზამთარში გაყიდი. 80 თეთრზე ნაკლებად რომ გაყიდი ვიზარალებ“.

სოფლის მეურნეობის სპეციალისტები ამბობენ, რომ რეგიონში, რომლის ძირითადი მიმართულებაა სოფლის მეურნეობა და ფერმერების დიდი ნაწილი თავს სწორედ კარტოფილის მოსავლით ირჩენს, მხოლოდ ერთი გადამამუშავებელი საწარმოო ფუნქციონირებს „მდგომარეობას ვერ შეამსუბუქებს“. ამიტომ ვიდრე კარტოფილის ფასი ფერმერებისთვის ხელსაყრელ ნიშნულს მიაღწევს, მათ სარდაფებში ტემპერატურული რეჟიმების დაცვას ურჩევენ.

რას მოგვცემს საერთოდ სოფლის მეურნეობის განვითარება, თუნდაც ყველაზე წარმატებულ ტექნოლოგიებსა და მენეჯმენტს

რომ ვეზიაროთ - თანაც, ეს არცთუ ისე მალე მოხდება, ცოდნისა და რესურსების უკმარობის გამო. საერთოდაც, რას ნიშნავს წარმატებული აგრარული სექტორი? რომელი ქვეყნებია ყველაზე წარმატებული? რამდენად პროდუქტიული და ეფექტანია მათი წარმოება?

ამ ანალიზისათვის ყველაზე ხელმისაწვდომი, აშშ-ის ცენტრალური დაზვერვის სააგენტოს მონაცემებია (CIA Fact-Book). ირკვევა, რომ მსოფლიოში ყველაზე პროდუქტიული ქვეყნები აგრარულ სექტორში აშშ, კანადა და ავსტრალიაა. მათთვის, მთლიანი შიდა პროდუქტის მოცულობა, ერთ დასაქმებულზე გადათვლით აგრარულ სექტორში 100 ათას დოლარს აჭარბებს. მეორე ემელოში არიან დასავლეთევროპული ქვეყნები და იაპონია, რომელთათვისაც იგივე მონაცემი 30 ათასიდან 50 ათას დოლარამდე მერყეობს. საქართველოს მაჩვენებელი მეტისმეტად სუსტია - დაახლოებით 1.6 ათასი დოლარი, ხოლო ჩვენი მეზობლების, თურქეთისა და რუსეთის - 10 ათას დოლარზე მეტი. პირველი რიგის ქვეყნების ლიდერობა, როგორც ჩანს, აგრარული მიწის გაცილებით უფრო დიდი ფართობი აიხსნება, რომელიც თითოეულ ფერმერს ეკუთვნის. ევროპა და საქართველოც უფრო მცირე მიწისაა. ამიტომ შეიძლება აიხსნას რუსეთის შედარებითი წარმატება. ხოლო თურქეთი, რომელიც დიდ ყურადღებას უთმობს აგრარულ სექტორს, ამავე და სხვა მიზეზით, ჯერჯერობით, მეტ წარმატებას ვერ აღწევს. გასათვალისწინებელია ისიც, რომ აგრარული სექტორის სუბსიდირებით ევროკავშირი ლიდერობს. თუმცა, ამის შესაძლებლობას მას მისი სიმდიდრე აძლევს. შემოთქმული უკვე საკმაოდ მრავალმეტყველია: ქართული სოფლის მწარმოებლობა 20-ჯერ დაბალია, ვიდრე ევროპის. ამის მიზეზი ძირითადად ეკონომიკურია - მაგალითად, ჩვენი მსგავსი თურქეთის დონის მისაღწევად, მწარმოებლობა 7-8-ჯერ მაინც უნდა გაზარდოთ. ეს მაინც არ იქნება იმის საინდარი, რომ მაღალ კონკურენტუნარიანობას მიაღწიოთ. ბაზარზე ფასები უზრალოდ



თვითღირებულებების მიხედვით რომ დგინდებოდეს (როგორც ეს კლასიკური ეკონომიკის მიმდევრებს ეგონათ), რამდენჯერაც მწარმოებლობა დაბალია, იმდენჯერ მაღალი უნდა იყოს თვითღირებულება და ფასიც. თუმცა, ფასი სუბიექტურია და ბაზარზე მოთხოვნა-მიწოდების მიხედვით დგინდება. ამის შედეგად ყველაზე მეტ ზიანს ის იღებს, ვისაც პროდუქტია ძვირი დაუფლავს და იძულებულია, გაცილებით იაფად გაყიდოს. სწორედ ესაა აგრარული სექტორში სუბსიდირების გაცემისას ევროპის ამგვარი მონდომების მიზეზი.

პოლიტიკური პროპაგანდა ცდილობს დაგვარწმუნოს, რომ სოფელი გადაგვარჩენს, საქართველო აგრარული ქვეყანაა და საჭიროა მთავრობის მეტი ძალისხმევა, რათა პროდუქციის რაოდენობის ზრდას მივაღწიოთ. ამ პროპაგანდაში უკვე მედიაც, პოლიტიკური მოთამაშებებიც, უცხოური პროპაგანდა წმინდა პოლიტიკურ ხასიათს ატარებს და, სამწუხაროდ, ძალიან ჰგავს საბჭოთა დევიზს - რაც მეტი პროდუქტია გვაქვს, მით უკეთესია. თუ საბჭოთა კავშირის გამოცდილებას გადავხედავთ, მისი ხელმძღვანელობის მიზანი - მეტი პროდუქციის მიღება - ეკონომიკური სისტემის კარნაქტურული ხასიათით იყო გამოწვეული. ამ პრობლემში საბჭოთა ლიდერებს ესმოდათ, რომ მიწის რესურსები შეზღუდულია და საჭირო იყო წარმოების „ინტენსიურ მეთოდებზე გადასვლა“ - ეს ფრაზა კომუნისტური პარტიის ბოლო ყრილობების ტექსტებში ხშირად ჩნდებოდა. უზრალო ენაზე, ეს ნიშნავს ერთ ჰე-

ქტარზე მეტი პროდუქციის მიღებას, რაც დღევანდელი პროპაგანდის ნაწილია.

დღევანდელ მსოფლიოში საკვები პროდუქტების წარმოებასთან დაკავშირებული მრავალი ეროვნული და გლობალური პოლიტიკა, სპეციალური პროგრამები, პროექტები, დახმარების პროგრამები, სავაჭრო შეღავათების მეთაწმებები, სავაჭრო ბარიერები და საერთაშორისო ინსტიტუტები, რომლებიც ამ ბარიერებს ებრძვიან. შესაბამისად, ცხადია, აგრარული სექტორი თუ ყველაზე რთული არა, ერთ-ერთი ურთულესი სფეროა ეკონომიკაში. აგრარული სექტორი არა ადგილობრივი პოლიტიკის საკითხი, არამედ საერთაშორისო პოლიტიკის ერთ-ერთი რთული სფეროა, რომელშიც დიდ და მძლავრ ქვეყნებსაც კი სერიოზული ბრძოლები უხდებათ.

საქართველოს მდგომარეობა გაცილებით უფრო რთულია, რადგან მას საერთაშორისო პოლიტიკის ზენოლის საკომპენსაციო რესურსები არ აქვს. ღარიბ ქვეყანას არ აქვს საშუალება სუბსიდირება იხადოს და, მით უმეტეს, იმ ზომის, როგორც მდიდარ ქვეყნებს შეუძლიათ. სხვა მხრივ, ღარიბი სახელმწიფოსთვის რთულია საერთაშორისო ბაზრების მოსაპოვებლად ისეთი სავაჭრო პოლიტიკის შექმნა, რომელიც რაიმე უპირატესობას მანიჭებდა - ჯერ ერთი, ეს საკუთარი ეკონომიკის სხვა სექტორების ხარჯზე უნდა გააკეთოს, მეორეც - დამუშავებული შეცდომების გამოსწორებას შემდგომში საკუთარი ხარჯებით მოხდება, ეკონომიკის შემცირებისას. ეს შესაძლებელია შედარებით ადვილი ტვირთი იყოს განვითარებული ქვეყნისთვის (რაც ნიშნავს მდიდარ მოქალაქეებს), ხოლო საქართველოს, რომლის მოსახლეობა საშუალოდ ათჯერ ღარიბია, ეს ხარჯი მძიმე ტვირთად დაანება.

ვისაც აგრარული სექტორში ბიზნესი უყვია, ალბათ ყველამ იცის, რომ მცირე მიწის ნაკვეთზე უფრო ნაკლები წარმოება შეიძლება, ვიდრე დიდ ფართობზე. თუ შემოსავალი არ შეესაბამება ბიზნესში ინვესტირებულ რესურსებს, მაშინ ასეთი საქმის კეთება არ ღირს. ინვესტირება შეუძლებელია ისეთ სფეროში, სადაც რისკები აპრორიო მაღალია და შემოსავლები ბუნდოვანი. ინვესტორი არის პრაგმატული ადამიანი და არა გმირი, რომელსაც ცმისი დიდი რისკი, მაგრამ მაინც მოქმედებს. ამიტომ მცირე ზომის მიწის ნაკვეთზე ფულის დახარჯვა ნაკლები ალბათობითაა შესაძლებელი. მარტივად ასე შეიძლება წარმოვიდგინოთ: 2 ჰექტარ მიწაზე წელიწადში შესაძლებელია 10 000 ლარის ლირებულების პროდუქტი მიიღო, საიდანაც ხარჯების გამოკლების შემდეგ შესაძლებელია 5 000 ლარი დაგროვდეს, რაც არ შეიძლება ბიზნესის წარმატებად განიხილო, თუმცა გლეხის იჯარის რჩენის მანია. ეს გლეხი ფერმერად — ბიზნესმენად მაშინ იქცევა, როდესაც 20 ჰექტარი მიწა აქვს და წარმოება წელიწადში 50 000 ლარს აღწევს, რაც ოჯახსაც ინახავს და წარმოების გაფართოების შესაძლებლობასაც იძლევა.

აგრარულ წარმოებასთან დაკავშირებული ერთ-ერთი მთავარი ისიცაა, რომ რაც მეტ ტექნიკას გამოიყენებ, უფრო კარგია. ეს იმას ჰგავს, ენერგეტიკოსები რომ გვარწმუნებდნენ, თითქოს ენერგეტიკული პრობლემა ტექნიკურ საკითხში იყო და სინამდვილეში, როგორც კი ეკონომიკურად გამართული მოდელი ამუშავდა: იხდი — გაქვს, მაშინვე ელექტროენერჯია ექსპორტისთვის გაკვირვებით. აგრარული სექტორის საკითხიც ასეა, მთავარი პრობლემა ეკონომიკური საკი-



თხი და არა ტექნიკა. აგრარული სექტორი სწორედ პროპაგანდის კარგი ნადავლია და ადამიანებს სხვა რაიმეს დანახვა ხშირად უჭირთ. მაგალითად, ადვილი დასანახია, რომ მოსახლეობის ამ რაოდენობით შენარჩუნება სოფლად არ იძლევა საშუალებას მიწის ნაკვეთების გაერთიანებისათვის. ეს ხელს უშლის გლეხური მეურნეობიდან ფერმერობაზე გადასვლას, შესაბამისად, პროდუქტიულობის ზრდას და დანახარჯების შემცირებას. განვითარებული აგრარული სექტორის ქვეყნებს თუ გადავხედავთ, აგრარულ სექტორში დასაქმებულია პროპორცია მოსახლეობაში 1-დან 3 პროცენტამდე მერყეობს - ფულად ერთეულში გადაყვანილი მათი წარმადობა ქართველი გლეხისას მრავალჯერ აღემატება. საქართველოში სოფლად დასაქმებულია საშუალო ძალის 45%, რომელიც მთლიანი შიდა პროდუქტის 8%-ს ქმნის და მათს დაბალ მწარმოებლობას მიანიშნებს.

გაცილებით დიდი პრობლემაა დარგის განვითარების მიმართ არსებული მცდარი ზოგადი ხედვა. საქართველო მცირემიწიანი ქვეყანაა, ანუ სოფელი მცხოვრებ ერთ ოჯახზე საშუალოდ ერთ ჰექტარამდე მიწა მოდის. ამას ისიც განაპირობებს, რომ საქართველოში ურბანიზაციის დონე მაღალი არ არის. მოსახლეობის 42% (1.6 მლნ ადამიანი) სოფელში ცხოვრობს. მცირემიწიანობა მიწის ნაკვეთების არაეფექტანად გამოყენებას იწვევს. რთულია წარმოების მოცულობის ხარჯზე შედარებით იაფად გაყიდო პროდუქტია (მასშტაბის ეფექტი) და მცირე საოჯახო მეურნეობა საშუალო ან მსხვილ ფერმერულ მეურნეობად გარდაქმნას. ამას ემატება ცოდნის ნაკლებობა, რაც მხოლოდ სოფლის მეურნეობის პრობლემა არ არის.

ამ დროს ქვეყნის პოლიტიკა მიმართულია სოფლის მოსახლეობის რაოდენობის შექცევისდაგვარად გაზრდისკენ, თუნდაც იმ მარტივი მიზეზით, რომ ისინი მიწაზე შრომით მაინც გაიტანენ თავს. სოფელში მცხოვრები ადამიანებიდან 700 ათასი ითვლება ე.წ. თვითდასაქმებულად, რადგან საკუთარ ბოსტანში მუშაობენ ანდა შინაურ ცხოველებს უვლიან. ე.ი. გარკვეული დილემის წინაშე ვართ: თან მცირემიწიანობა უნდა დასრულდეს და თან ბევრი ხალხი უნდა ცხოვრობდეს სოფელში. ოქროს შუალედია, სოფელში ცხოვრობდეს, მაგრამ მიწაზე არ მუშაობდეს, რაც სულაც არ არის არარეალური. ამ დილემის გადაჭრას სჭირდება სხვა დარგების გაცილებით სწრაფად განვითარება, ვიდრე დღეს ვითარდება, ადამიანები კი თავად გადაწყვიტონ, სად ურჩევნიათ ცხოვრება. დღეს განვითარებული ქვეყნებში ურბანიზაციის დონე 70-80%-ს აღწევს, ხოლო სოფლის მეურნეობაზე დასაქმების მაქსიმუმ 5% მოდის (საქართველოში - დაახლოებით 40%). დღეს განვითარებული ქვეყნების სოფლები უფრო მდიდარი და მოვლილია, ვიდრე ოდესმე. ევროპულ ქვეყნებში სტუმრობისას, ხშირად აღმოაჩენთ, რომ სოფელსა და ქალაქს შორის განსხვავებას არა თვალშესახებ ურბანული მოწყობა, არამედ ტრადიციული განსაზღვრავს...

საქართველოზე ამას, ჯერჯერობით, ვერ ვიტყვი. მიუხედავად იმისა, რომ დღევანდელი ხელისუფლება ბევრ პროექტს ახორციელებს რეგიონების გაძლიერებისთვის, მიზნამდე ჯერ ისევ შორია. ქვეყანაში სიღარიბის დასაძლევად მოსახლეობის დიდი ნაწილი კვლავ ემიგრაციაში წასვლას ამჯობინებს. ამას კი შედეგად ის მოყვება, რომ სოფელიც იცლება და ქალაქიც, ემიგრაციის გამო ქვეყნის მოსახლეობა ბოლო 20 წელიწადში 1.5 მილიონი კაცით შემცირდა.

„განათლება თავისუფლება“ ...

დღეს კვლავ ვაგრძელებთ დაპირებულ რუბრიკას „განათლება თავისუფლება“, რადგან განათლებას უმნიშვნელოვანესი ადგილი უჭირავს ადამიანის ცხოვრებაში, იგი ის ბერკეტი, რომელსაც აუცილებლად უნდა დავეყრდნოთ, რომ მეტი სინათლე შემოვიტანოთ ჩვენს საზოგადოებაში.

ჩვენი დღევანდელი სტუმრები არიან პირველი საჯარო სკოლის წარჩინებული კურსდამთავრებულები, 100%-იანი გრანტის მფლობელი სტიპენდიანტი სტუდენტები: ლიკა ბახუტაშვილი, მალვინა ისმაილოვა და ეთა შარმაზანაშვილი. დღეს ისინი გვიამბობენ თავიანთ სამომავლო გეგმებზე, ასევე, რა გამოწვევების წინაშე დგას მათი თაობა და, ზოგადად, ახალგაზრდობა, რას მიიჩნევენ წარმატების მთავარ საიდუმლოდ, რა თამაშობს მთავარ როლს ამ შემთხვევაში, ნიჭი, სიბეჯითი, ილბალი თუ ყველაფერი ერთად, რა როლი უკავია ოჯახს და ბოლოს, განათლება უალტერნატივოა, მაგრამ, კიდევ რა შეიძლება გახდეს ახალგაზრდებისთვის წარმატებული ცხოვრების საწინდარი(მაგ. პროფესიული განათლება, კერძო ბიზნესი, ხელობაზე დაოსტატება და ა.შ.)



ლიკა ბახუტაშვილი: დავიბადე 2001 წლის 29 ნოემბერს დედოფლისწყაროში. 2006 წელს დავამთავრე საბავშვო ბაღი და იმავე წელს შევედი დედოფლისწყაროს N1 საჯარო სკოლაში. პირველ დღეებთან დაკავშირებული ემოციები დღესაც მძაფრად მახსოვს. ასაკით პატარა ვიყავი, 5 წლის, და, სიმართლე რომ ვთქვა, ეს ოდნავ მაშინებდა. თუმცა, საბედნიეროდ, გამომართლა კლასშიც და დამრიგებელიც და სკოლა, ყოველგვარი გადაჭარბების გარეშე, ჩემს მეორე სახლად იქცა. სკოლის პარალელურად, დაკავებული ვიყავი სხვადასხვა კლასგარეშე აქტივობებით: ცეკვით, მუსიკით, თუმცა, გადამწყვეტი როლი ჩემს ცხოვრებაში ახალგაზრდულმა თეატრმა „ბერიკონმა“ ითამაშა, რომელიც უკანასკნელი 5 წლის განმავლობაში ჩემი ცხოვრების განუყოფელ ნაწილად იქცა. ზემოაღნიშნულმა აქტივობებმა დამაახლოვა ხელოვნებასთან, უფრო კომუნიკაბელურად ადამიანად მაქცია და დიდი გავლენა იქონია ჩემს შემდგომ არჩევანზე. ბავშვობიდან მიყვარდა კითხვა, მომწონდა მოთხრობებისა თუ ჩანახატების წერა. ალბათ, სწორედ ამან განაპირობა, რომ გადავწყვიტე, ჟურნალისტიკაში მეცადა ბედი. ვფიქრობდი, ეს პროფესია დამეხმარებოდა, საკუთარი კომფორტის ზონიდან, საკუთარი „ნაჭუჭიდან“ გამოვსულიყავი. ჩავაბარე შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტში, მოვიპოვე 100%იანი სახელმწიფო გრანტი და საქართველოს მასშტაბით 500 საუკეთესო აბიტურიენტს შორის მოვხვდი. ვსწავლობ სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე, კერძოდ, ჟურნალისტიკაზე. წერა უფრო მიზიდავს, ვიდრე საუბარი, ამიტომ, სავარაუდოდ, ბეჭდურ მედიას ავირჩევ საბოლოო მიმართულებად. თანამედროვე ახალგაზრდობა, სამწუხაროდ, ხშირად

ხდება კრიტიკის სამიზნე უფროსი თაობის დიდი ნაწილის მხრიდან. ეს, ცხადია, ასაკობრივი სხვაობით აიხსნება, თუმცა, მაინც არასასიამოვნოა, როცა მათგან უნდობლობას ვგრძნობთ. თითქოს ეჭვის თვალთი უყურებენ ჩვენს პოტენციალს. ჩემი თაობის მთავარი გამოწვევა, ვფიქრობ, სტერეოტიპების დამსხვრევა და ჩვენი შესაძლებლობების დამტკიცებაა. მჯერა, თანამედროვე ახალგაზრდობა არაერთი დადებითი სიახლის ფუძემდებელი იქნება. წარმატების გასაღები, ჩემი აზრით, ყველასთვის სხვადასხვაა. მონდობა, უნარი, მიზანდასახულობა, რასაკვირველია, მნიშვნელოვანია, თუმცა, არანაკლებ აუცილებელია საკუთარი თავის რწმენა. პირველ რიგში, უნდა შეგვეძლოს საკუთარი შესაძლებლობების რაციონალურად შეფასება, სწორი არჩევანის გაკეთება პირველი ნაბიჯია წარმატების გზაზე. ხშირად უკვირთ, როცა ამას ვამბობ, მაგრამ სიბეჯითე არასდროს ყოფილა ჩემი უპირატესობა. ალბათ, უფრო პირობითი, ყოველთვის ზარმაცად ადამიანად მახსიათებდნენ. სიბეჯითე არცაა ყველაზე მნიშვნელოვანი. მივიჩნევ, რომ მხოლოდ პროგრამული ნიგნები არაა წარმატების საწინდარი, მათ მიღმა სხვა სამყაროს დანახვაც უნდა შეგვეძლოს. ფილმები, კლასგარეშე ლიტერატურა, მუსიკა, მოკლედ რომ ვთქვათ, ხელოვნება, პიროვნებად აქცევს ადამიანს, ახალ ხედვას უყალიბებს მას. არ ვიცი, ეს სხვებს როგორ ეხმარება, თუმცა, პირადად მე ამგვარი განტირთვის დროს უამრავი რამ ვისწავლე. არ შემიძლია, არ აღვნიშნო გარემომცველი ადამიანების დამოკიდებულება. ჩემი პედაგოგები, სკოლაშიც და მის გარეთაც, მამხნელებდნენ და მარწმუნებდნენ, რომ ყველაფერს შევძლებდი, მაშინ, როცა თავად არ მჯეროდა ამის. შეუფასებელია ჩემი ოჯახის წევრების წვლილი ჩემს წარმატებაში. მათ არასდროს უთქვამთ,

რა და როგორ უნდა გამეკეთებინა, ისედაც დარწმუნებულები იყვნენ, რომ დამოუკიდებლადაც იდეალურად გავუმკლავდებოდი აბიტურიენტობის სტრესს. დამიჯერეთ, მაშინ, როცა ბევრს, საკუთარი თავის ჩათვლით, არ სჯერა შენი, ოჯახის მხარდაჭერას ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს. რასაკვირველია, განათლება შეუცვლელია, თუმცა, პიროვნება იმის მიხედვით არ უნდა შევადარებოთ, რამდენად ბეჯითია ან რამდენად კარგად სწავლობს იგი. სამწუხაროა, რომ დღევანდელ რეალობაში პროფესიული განათლების მიღებას ან ხელობის დაუფლებას უამრავი ადამიანი ეჭვის თვალთი უყურებს. ჩემი აზრით, მთავარია, შენი საქმე პირნათლად შეასრულო, ის აკეთო პატიოსნად და ხარისხიანად, რაც გავალია და, რა მნიშვნელობა აქვს, სასწავლებელში სწავლობდი თუ პროფესიულ კოლეჯში. დასასრულს, მინდა მადლობა გადავუხადო ყველა იმ ადამიანს, რომელმაც მცირეოდენი წვლილი მაინც შეიტანა ჩემს წარმატებაში. პირველ რიგში, ჩემს ოჯახს, მეგობრებსა და მასწავლებლებს. მომავალ აბიტურიენტებს კი ვურჩევ, რაციონალურად მიიღონ გადაწყვეტილებები, ირწმუნონ საკუთარი თავის და შეუპოვრად გააგრძელონ გზა დასახული მიზნისკენ.

მალვინა ისმაილოვა - დავიბადე ქალაქ დედოფლისწყაროში. დავამთავრე დედოფლისწყაროს პირველი საჯარო სკოლა. ასევე, დედოფლისწყაროს ხელოვნების სკოლის საფორტეპიანო კლასი. მუსიკალურ განათ-

ლებას დღემდე ვიღრმავებ და ვსწავლობ თბილისის ზ. ანჯაფარიძის სახელობის 28-ე ხელოვნების სკოლაში. ჩავაბარე შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტზე. მიზეზი გახლდათ ტექნიკური საგნების დიდი სიყვარული, შესაბამისად, გადავწყვიტე ამერჩია ისეთი პროფესია, რომელიც მომცემდა საშუალებას სასურველ მიმართულებებში მეტი ცოდნა მიმეღო, რაც შეეხება სამომავლო გეგმებს, 2 წელიწადში ვაბარებ ვანო სარაჯიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიაში. თავდაპირველად, ორი სპეციალობის შეთავსება მომიწევს, შავი ზღვის უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ კი ჩემს თავს მთლიანად მუსიკას მივუძღვნი.

ვფიქრობ, დღევანდელი ახალგაზრდების უმთავრესი გამოწვევა ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა და სამშობლოს ეკონომიკური, პოლიტიკური თუ სოციალური მდგომარეობის უკეთესობისკენ შეცვლაა, რისი მიღწევაც დაუალავე შრომითა და განათლებით შეგვიძლია, რადგანაც, განათლებულ ადამიანს ვერ დაამარცხებ. წარმატების უმთავრეს „საიდუმლოდ“ მივიჩნევ შრომასა და მონდობას. რასაკვირველია, დიდ როლს თამაშობს ნიჭი და ბევრი გარე ფაქტორი, მაგრამ, ვფიქრობ, რომ მონდობეული და ბეჯითი ადამიანი აუცილებლად მიაღწევს სასურველ შედეგს. ჩემს წარმატებაში დიდი წვლილი მიუძღვის ჩემს ოჯახს, მეგობრებსა და ყველა იმ ადამიანს, ვინც მგულშემოტკივრობდა. უმთავრესად კი, მინდა აღვნიშნო ჩემი პედაგოგები, ქ-ნი ხათუნა სულაშვილი, ქ-ნი ლია ქადაგიძე, ქ-ნი მაია ბეგიაშვილი და ქ-ნი ეკა სეფიაშვილი, რომლებმაც ძალები არ დაიშურეს და მოახერხეს ის, რომ მე ცხოვრების ერთ-ერთ მთავარ გამოწვევას მტკიცედ შევხვდი, რისთვისაც მათ უდიდეს მადლობას მოვასხენებ. აგრეთვე, მინდა მადლობა გადავუხადო დედოფლისწყაროს პირველი საჯარო სკოლის უამრავ პედაგოგს, რომლებთანაც წლების განმავლობაში მქონია ურთიერთობა, ხარისხიანი განათლებისთვის, გვერდში დგომისა და მხარდაჭერისთვის. ვფიქრობ, დღესდღეობით აუცილებელია პროფესიულ განათლებაზე ადამიანთა შეხედულების შეცვლა. ჩემი აზრით, პროფესიული სასწავლებლები იძლევიან მრავალფეროვნებას არჩევანში და დიდ შესაძლებლობებს. თუ პროფესიულ სასწავლებლებში სტუდენტთა რაოდენობა გაიზარდება, მოხდება ახალგაზრდების დიფერენცირება და ისინი უფრო მარტივად შეძლებენ საკუთარი შესაძლებლობების რეალიზებას იმ კონკურენტულ გარემოში, რომელსაც შეუძლიათ, ფეხი აუწყონ. შესაბამისად, კონკრეტული ინდივიდებიც მიაღწევენ



წარმატებას და ქვეყნის მდგომარეობაზეც დადებითად აისახება თავის საქმეში პროფესიონალი კადრის არსებობა.

ეთა შარმაზანაშვილი - დავიბადე 2001 წელს, 2007 წელს სწავლა დავიწყე დედოფლისწყაროს №1 საჯარო სკოლაში, სადაც მქონდა ბედნიერება მესწავლა გამოცდილ, საკუთარ საქმეში პროფესიონალ, და რაც მთავარია, მეგობრულ პედაგოგებთან. სკოლამ შემეძინა საუკეთესო გარემო იმისათვის, რომ მქონოდა სურვილი, ვყოფილიყავი წარმატებული და რაც მთავარია, მეტროლა საკუთარი მიზნების რეალიზებისათვის. გამორჩეული იყო კლასიც, დამრიგებელიც-მაია ბეგიაშვილი, მათი თანადგომა მნიშვნელოვან გავლენას ახდენდა ჩემს მონდობაზე. სკოლა დავამთავრე ოქროს მედალზე, ჩავირიცხე კავკასიის უნივერსიტეტში არქიტექტურის ფაკულტეტზე 100% სახელმწიფო გრანტით, გარდა ამისა, საქართველოს მასშტაბით მოვხვდი 500 საუკეთესო აბიტურიენტში, რაც მაძლევს შესაძლებლობას, სრულიად უფასოდ დავუფლო არქიტექტურას. მომავალი პროფესიის განსაზღვრა არ ყოფილა მარტივი. ხაზვა და ხატვა ბავშვობიდან მიყვარს, რამაც გადამწყვეტი როლი ითამაშა პროფესიის არჩევის საკითხში. რა თქმა უნდა, რთულია მიაღწიო წარმატებას, მაგრამ არა შეუძლებელი, როდესაც ზუსტად იცი რამდენად მნიშვნელოვანია განათლების მიღება და რამდენად დიდ სიამოვნებას განიჭებს ის, რისი კეთებაც გიყვარს. დღესდღეობით იზრდება კონკურენცია, უფრო და უფრო მეტი ახალგაზრდა დიდი მონდობით ცდილობს მიაღწიოს წარმატებას. მაგრამ არავინ უნდა დაიიწყოს, რომ დაუალავე შრომა, სწავლისთვის საუკეთესო გარემოს შერჩევა და იმის კეთება, რაც გიყვარს, საწინდარია წარმატებისა. ამიტომ, მოსწავლეებს ვურჩევ, პირველ რიგში, აკეთონ მათთვის საყვარელი საქმე, რადგან ამ შემთხვევაში ამ საქმეში წარმატების მისაღწევად გასაველი გზა ბევრად მარტივი იქნება. მინდა შემთხვევით ვისარგებლო და უღრმესი მადლობა გადავუხადო პედაგოგებს, რომლებიც გვერდში გვედგნენ და გვამხნელებდნენ, ბედნიერები იყვნენ ჩვენი წარმატებით. ასევე არასოდეს დამავიწყდება კლასი, რომელმაც შემეძინა საუკეთესო გარემო, და რაც მთავარია ოჯახი, რომელიც მთელი ამ დროის განმავლობაში მინყობდა ხელს, მიმეღო საუკეთესო ხარისხის განათლება. ვულოცავ ყველა სტუდენტს, ხოლო აბიტურიენტებს ვუსურვებ წარმატებას.

დასასრულს, კიდევ ერთხელ ვულოცავთ ჩვენს საამაყო ახალგაზრდებს ცხოვრების სტარტის ასე წარმატებით აღებას და აქვე აღვნიშნავთ, რომ, ამ გოგონების გაცნობით, რომელიც ბოლო ორ ნომერში გვეყვანენ სტუმრად, დავრწმუნდით კიდევ ერთხელ, ქვეყანას, რომელსაც ასეთი თაობა ეზრდება, შეუძლებელია ოდესმე მტერმა წელში მოხაროს და მის აღმასვლას ხელი შეუშალოს.



ლაზა ბექაური ფინეთიდან ოქროს მედლით დაბრუნდა

საქართველოს ძიუდოსტთა ახალგაზრდული ნაკრები ფინეთის ქალაქ ვანტააში გამართულ ევროპის ჩემპიონატიდან გამარჯვებული დაბრუნდა.

ძიუდოსტებმა ექვსი ოქროს, ერთი ვერცხლისა და ორი ბრინჯაოს მედალი მოიპოვა და საერთო გუნდურ ჩათვლაში პირველ ადგილზე გავიდა.

ლაზა ბექაური ფინეთის ქალაქ ვანტააში მიმდინარე ახალგაზრდებს შორის ევროპის ჩემპიონატის გამარჯვებული გახდა.

90 კგ. წონითი კატეგორიის

ფინალში ლაზა ბექაურმა უნგრელ როლანდ გოზს სძლია.

ამავე წონით კატეგორიაში, მიხეილ ბექაურმა ბრინჯაოს მედალი მოიპოვა. მესამე ადგილისთვის შეხვედრაში მიხეილ ბექაურმა რუსი მანსურ ლორსანოვის დამარცხება შეძლო.

„ქართული ძიუდოს ისტორიაში ასეთი რამ პირველად მოხდა, რომ ყველა წონით კატეგორიაში მოვიპოვეთ ოქროს მედალი. პირველ რიგში, მადლობა მინდა, გადავუხადო ჩემს გულშემოტივარს. შეჯიბრი ძალიან ძლიერი და ემოციურად დატვირთული იყო, განწყობა იყო საბრძოლო. ვიბრძოლეთ და მივალწიეთ წარმატებას“, — განაცხადა ოქროს მედლის მფლობელმა ლაზა ბექაურმა.

საქართვე-

ლოს ძიუდოს ფედერაციის პრეზიდენტის გიორგი ათაბეგაშვილის თქმით, გუნდმა ეს წარმატება დაიმსახურა.

„თავანუელი ვბრუნდებით სამშობლოში და ვულოცავთ სრულიად საქართველოს ამ გამარჯვებას. ნლების წინ ფედერაციის მიერ დასახულმა მიზანმა და გუნდის რუტინულმა შრომამ შედეგი გამოიღო. მინდა, ხაზი გავუსვა რომ ძალიან დიდია სახელმწიფოს როლი. ეს არის გუნდი, რომელმაც ეს ყველაფერი დაიმსახურა და რა საკვირველია, ველოდით ამ წარმატებას. ერთი თვის შემდეგ გვაქვს მსოფლიო ჩემპიონატი და ვეცდებით, იქაც დავამტკიცოთ, რომ ეს გამარჯვება შემთხვევითი არ ყოფილა“, — განაცხადა გიორგი ათაბეგაშვილმა.

ახალგაზრდული ნაკრებიდან საქართველოს პირველი ევროპის ჩემპიონი ქალი ძიუდოსტი ჰყავს. ეთერ ლიპარტელიანის განცხადებით, მისთვის ძალიან საამაყო და სასიხარულოა, როცა მისი ქვეყნის ჰიმნს აჟღერებენ.



ლაზა ტალახაძე მსოფლიო ჩემპიონი მეოთხედ გახდა

ძალოსანმა ლაზა ტალახაძემ მსოფლიო ჩემპიონატზე სამი ოქროს მედალი მოიპოვა. ევროპისა და მსოფლიოს ან უკვე ოთხ-ოთხგზის და ოლიმპიურმა ჩემპიონმა 25 წლის ქართველმა მძიმეწონოსანმა ტალიანდში გამართული მსოფლიო ჩემპიონატი საქართველოს ჰიმნით დაავიჯინა. ტალახაძემ ორივე მოძრაობაში სამ-სამი ცდა გამოიყენა. ატაცში 208 და 215 კილოგრამების შემდეგ 220-იც ასწია და მსოფლიო რეკორდი გააუმჯობესა. მეორე მოძრაობა - აკვრა კი ასევე ახალი რეკორდით - 264 კილოგრამით დაასრულა და მსოფლიო რეკორდი ორჭიდის ჯამშიც გააუმჯობესა - 484 კილოგრამით. „დიდება გმირებს!“ - ტალახაძემ გამარჯვება სოხუმის გმირებს მიუძღვნა.



დაავადება, რომლისთვისაც ყველა და ყველაფერი სულერთია...

21 სექტემბერი ალცჰაიმერის დაავადების შესახებ ცნობიერების ამაღლების საერთაშორისო დღეა.

მსოფლიოში ალცჰაიმერით დაავადებულთა რაოდენობა დღითიდღე მატულობს. დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრის მონაცემებით, 2013 წელს ალცჰაიმერით დაავადებულების რეგისტრირებული რაოდენობა 805 ადამიანი იყო, 2014 წელს 1197, 2015 წელს 1084, 2016 წელს 1376 როდის იქნეს თავს ალცჰაიმერი, როგორი დაავადებაა და რა სიმპტომები ახასიათებს მას, ამის შესახებ დედოფლისწყაროს ფსიქო-ნევროლოგიური კაბინეტის ფსიქიატრს სოფო ფათალიშვილს ვესაუბრეთ.

ალცჰაიმერის დაავადება მიეკუთვნება თავის ტვინის პროგრესირებადი ნეიროდეგენერაციული დაავადებების, ე.წ. დემენციების ჯგუფს და მათ შორის ყველაზე გავრცელებული მდგომარეობაა (მოიცავს დემენციების 60-70%-ს), დღემდე უამრავი მოსაზრება არსებობს დაავადების კონკრეტულ გამომწვევ მიზეზთან დაკავშირებით, თუმცა, საბოლოოდ დადასტურებული არცერთი მათგანია. არსებობს ბევრი რისკ-ფაქტორი, რაც დაავადების განვითარებას უწყობს ხელს: ჰიპერტონული დაავადება, ლიპიდური ცვლის მოშლა, თავის ტვინის ტრავმები, ნეიროინდექციები, ოქსიდაციური სტრესი თუ სხვა... კლასიკურ შემთხვევაში ალცჰაიმერის დაავადება ვლინდება 60-65 წლის და ზემოთ ასაკში. თუმცა, გარკვეულ შემთხვევებში, განსაკუთრებით გენეტიკური ფორმის დროს, დაავადებისთვის დამახასიათებელი სიმპტომები გაცილებით ადრე, 30-40

წლის ასაკში ჩნდება. ასაკის მატებასთან ერთად დაავადების განვითარების რისკი საგრძობლად იზრდება. არსებული კვლევების მიხედვით, ალცჰაიმერის დაავადება შედარებით ხშირია ქალებში. იგი არის ქრონიკული, პროგრესირებადი დაავადება, შესაბამისად, მისგან სრულად განკურნება სამწუხაროდ არ ხდება, თუმცა, დაავადების დროული დიაგნოსტიკისა და ადექვატური მართვის



შემთხვევაში შესაძლებელია პაციენტი დაავადების სწრაფი პროგრესირებისგან დაცვა და ხელი შეეწყოს ნორმალური ცხოვრების ხარისხის ხანგრძლივად შენარჩუნებას, აღსანიშნავია სპეციფიური მედიკამენტოზური მკურნალობა, რაც ხელს უწყობს მესხიერების პრობლემების შედარებით გაუმჯობესებას, პარალელურად, დამატებითი ჩივილების მიხედვით, რეკომენდებულია ანტიდეპრესანტული, შფოთვის სანინალმდეგო მკურნალობა, თუმცა მედიკამენტოზურ ჩარევაზე არანაკლებ მნიშვნელოვანია

პაციენტის ფსიქოლოგიური რეაბილიტაცია და გარემომყოფების მორალური მხარდაჭერა.

უნდა აღინიშნოს, რომ მთლიანად ქვეყანაში, ამ დაავადებასთან მიმართებით სახელმწიფოს როლი უმნიშვნელოა. სახელმწიფო ჯანდაცვითი პროგრამებით ჯერჯერობით არ არის გათვალისწინებული ალცჰაიმერით დაავადებულ ადამიანთა საჭიროებები. ფაქტობრივად, მხოლოდ პაციენტების ოჯახის წევრებს უნვეთ მათზე ზრუნვა. ამასთან, დაბალია ამ დაავადებასთან დაკავშირებით საზოგადოების ინფორმირებულობა. სავარაუდოდ, საქართველოს მოსახლეობის მხოლოდ მცირე ნაწილმა იცის დაავადების სიმპტომები და მიმდინარეობა. ამბობს ჩვენთან საუბარში ქ-ნი სოფო, რომელიც საუბრის დასასრულს ოჯახის წევრებს შეეხო და გადაწყვიტეთ, მოგყვით ნაცნობი დაავადებული ადამიანის ოჯახის წევრის მონათხრობი. ყველმ ვიცით, რომ როგორც ალცჰაიმერის, ასევე სხვა უამრავი დაავადების მიმართ სტიგმა ჯერჯერობით დაუძლეველია და ალბათ, კიდევ დიდხანს იქნება ასე, მანამდე ვისაუბროთ პირობითად, მაგრამ, მაინც ვისაუბროთ, რათა, დავრწმუნდეთ, რომ გამოცდილების გაზიარება, ერთმანეთის გვერდში დგომა და პრობლემაზე ხმა მალა საუბარი ყოველთვის დაგვეხმარება მის მოგვარებაში...

ქ-ნი მარიამი გვესაუბრება, კონკრეტულად რა სირთულეების წინაშე აღმოჩნდა მისი დაავადებული დედის გამო თვითონ და მისი ოჯახის წევრები:

„დედა დაიბადა თბილისში, ცხოვრობდა ჩემთან, ჩემს ძმასთან, რძალთან და შვილიშვილებთან ერთად. ჰქონდა საშუალო განათლება. ალცჰაიმერის დაავადების აღმოჩენამდე მუშაობდა მაღაზიაში. დაავადების საწყის პერიოდში შექმნილი სირთულეებიდან გამომდინარე, მოუწია გადასულიყო სხვა სამუშაოზე, სადაც ამზადებდა ლეგულებს. მდგომარეობის გათვალისწინებით იგი საბოლოოდ ჩამოშორდა საქმიანობის სფეროს. ამის შემდეგ, შეიძლება ითქვას, რომ სრულად მოწყდა სოციალურ სფეროს და შეწყდა მისი სოციალიზაციის პროცესი. იგი მესხიერების სრულად დაკარგვის შემდეგ ცხოვრობდა ჩვენთან ერთად და არასდროს დამდგარა დღის წესრიგში საკითხი თავშესაფარში წაყვანაზე. მაგრამ ა, არსებობენ ოჯახები, რომლებში, ვიცი, რომ თანახმანი არიან წაყვანაზე, მაგრამ მათ ხელს უშლის სხვადასხვა მიზეზი, მათ შორის სახელმწიფო სერვისების შესახებ არაინფორმირებულობა და იმ სოციალური ნორმების გავლენა, რომლის მიხედვითაც, საქართველოში ოჯახის წევრის ან ახლობლის თავშესაფარში წაყვანა ასოცირდება მის თავიდან მოშორებასთან, ან „გადაგდებასთან“.

დასასრულს, ისლა დავგრჩენია, სანამ მსოფლიო დაავადებას დაამარცხებს და მასთან ბრძოლის ეფექტურ საშუალებებს იპოვის, მანამდე, ჩვენი საკუთარი ძალებით უარი ვუთხრათ ნებისმიერ მავნე ჩვევას და პოპულარიზაცია გავუწიოთ ჯანსაღი ცხოვრების წესებს.

კულა სარაშვილი

მონბლანზე მყინვარის ნაწილი დნება

მონბლანზე მყინვარის ნაწილი დნება. მეცნიერების თქმით, მწვერვალ გრანდ ჟორასს, შესაძლოა, 250 000 კუბური მეტრის ყინულის მასა მოწყდეს.

მას შემდეგ, რაც მეცნიერებმა თქვეს, რომ ყინულის ნაწილი მასივს ყოველდღე 50-60 სანტიმეტრით შორდება, ადგილობრივი ქალაქის, კურნაიორის მერმა გზების ჩაკეტვის გადაწყვეტილება მიიღო. ადგილობრივი სოფლებიდან მოსახლეობის ევაკუაცია მიმდინარეობს. მერის თქმით, გლობალური დათბობა მონბლანის მთათა სისტემას ცვლის. მეცნიერების თქმით, შეუძლებელია ვივარაუდოთ, თუ როდის მოწყდება ყინულის

მასა მთათა სისტემას. მონბლანი ევროპის დასავლეთში ყველაზე მაღალი მთათა სისტემაა. მას 11 მწვერვალი აქვს, რომელთა სიმაღლე 4 000 მეტრს აღემატება. და ყოველ წელს ათასობით ტურისტს იზიდავს.

2018 წელს მოსახლეობა მყინვარ პიზოლის დაემშვიდობა. კლიმატის ცვლილების გამო მყინვარი სრულად გაუჩინარდა. გაქრობის შემდეგ ალპებში 250-მდე შედეი ავიდა, რომლებმაც სამგლოვიარო ცერემონიის შემდეგ ადგილი გვირგვინით შეამკეს. მანამდე, სამგლოვიარო ცერემონიით მოსახლეობა მყინვარ ოკოკულს დაემშვიდობა.



ს ი ბ ე რ ე

არადა, კანონზომიერად დაბერებულის იქით გაშვება თურმე ფუფუნებაა, რომელიც ყველას ვერ ერგება... დაბერების მაინც ემინიათ.

„გამომიტანა ბუნებამ მსჯავრი: სულზე ბორკილად მადევს ასაკი...“ (ოთარ ჭილაძე)

გალაკტიონსაც არ გამოპარვია სიბერე და ქალთა წყევლას ადარებდა.

„...ეჭა, მე ვაბობ, სად შემიძლია ვებრძოლო ქალთა წყევლას — სიბერეს?“

წიგნები წვიმებს სიცილით ცვლიან და შლიან შემკრთალ სურათის ფერებს...“

საათები გარბიან, დღეები მიდიან, წლები კი მიფრინავენ... რთულია წარმოიდგინო, რომ აუცილებლად მოვა დრო, როცა ჩვენც შევავიჯებთ ცხოვრების ყველაზე მძიმედ ასავლელ საფეხურებზე, რომელთაც წარსულის ნოსტალგიით, ოხვრითა და სინანულით ავივლით... ამას სიბერე ჰქვია და დამერწმუნებით ალბათ, რომ ახალგაზრდობაში არც ერთ ჩვენგანს არ სურს იფიქროს ბუნების ამ კანონზომიერებაზე. ცხოვრება რთული ფენომენია, არავინ უწყის რა გველოდება ხვალ...

მაინც რა არის ადამიანი? დაბადება, ბავშობა, სიჭაბუკე, სიმწიფე, სიბერე, ეს ყოფილა ადამიანის გასავლელი გზა, რადგან სიბერე კანონზომიერი პროცესია, იგი სიცოცხლის შემადგენელი ნაწილია, განუწყვეტელი ბიოლოგიური ცვლილებების შედეგი. სიბერე ადამიანის გარდაუვალი პერიოდია. მას ყოველთვის თან ახლავს თავისებური სევედა, განვლილი ცხოვრება, წარსულში დარჩენილი ახალგაზრდობის ნოსტალგია. სიბერე ყოველთვის ასოცირდება ჭაღარა თმასთან, დაღლილ-დანაოჭებულ კანთან და რა თქმა უნდა სიკვდილის მოახლოებასთან. სიბერე ის დროა, როცა ყველაფერი იცი, მაგრამ აღარაფერს აღარაფერს გეკითხება... როცა გრძნობიდან-თანაგრძნობაზე გადადიხარ. სიბერე ადამიანის თანმდევი ეტაპია, ყველა ასაკს აქვს თავისებური სილამაზე და ხიბლი. ასაკოვანი ადამიანები სიახლეებს ძნელად ეგუებიან. მოხუცთა უმრავლესობა, ასე თუ ისე ინახავს თავს. ახალ ტანსაცმელს, ავეჯს, ძვირფას პროდუქტებს არ ითხოვენ, მათ მხოლოდ ჩვენი ყურადღება და სითბო სჭირდებათ. უბრალოდ გვახსოვდეს ყველას რომ ადრე თუ გვიან უეჭველად მოვა სიბერე-ყველა ჩვენგანს ემინია სიბერის. ემინია, მომატებული წლების, დაკარგული ხალისის, ჩამქარალი ახალგაზრდობის, გაფრენილი დროის... კიდევ ემინია იმის, რომ ვეღარ გაუგებენ, არ ესმით მისი. არა, როგორ არ ესმით, მაგრამ ვერ გებულობენ. ემინიათ სიმარტოვის, თუნდაც დიდ ოჯახში იცხოვრონ. სულიერ სიმარტოვეს ნებისმიერი მოხუცი განიცდის. როცა მასა და შეილებსა თუ შეილიშვილებს შორის უზარმაზარი და გადაულახავი კედელი აღმართული. როცა ისინი ერთ, მაგრამ სრულიად განსხვავებულ სამყაროში ცხოვრობენ. როცა ნებისმიერი საქციელი ახალგაზრდებში გაღიზიანებას და შემდეგ სიბრაულულს იწვევს.

სიბერე ორგანიზმში უჯრედულ დონეზე იწყება, ფიზიოლოგიურად კი მოგვიანებით ვლინდება ორგანოთა სისტემების დონეზე. ადამიანს ხანში შესულს 60-74 წლის ასაკში უწოდებენ, თუმცა ერთნაირი კალენდარული ასაკის ადამიანებს ორგანიზმში მიმდინარე დაბერების პროცესის ინტენსივობის კვალობაზე შესაძლოა საკმაოდ განსხვავებული ბიოლოგიური ასაკი ჰქონდეთ. თეორიულად ორგანიზმის კალენდარული და ბიოლოგიური ასაკი ერთმანეთს უნდა ემთხვეოდეს. თუ ბიოლოგიური ასაკი ჩამორჩება კალენდარულს, ამბობენ, რომ ადამიანი ასაკთან შედარებით ახალგაზრდულად გამოიყურება. როცა ეს ორი მაჩვენებელი ერთმანეთს ემთხვევა, ფიზიოლოგიური პროცესები ნორმალურად მიმდინარეობს, ხოლო როცა კალენდარული ასაკი ჩამორჩება ბიოლოგიურს, ეს ნაადრევი სიბერის ნიშანია. ადამიანის სხეულში სამოცი ტრილიონი უჯრედი, რომლებიც დროთა განმავლობაში კარგავენ ფუნქციებს, იცვლიან ფორმას, ბერდებიან და

კვდებიან. არსებობს რამდენიმე ფაქტორი, რომელზეცაა დამოკიდებული უჯრედის დაბერება. ესენია გენეტიკა, ზრდის ჰორმონების დეფიციტი, ენერგეტიკული ცვლილებები ორგანიზმში და სხვა მრავალი. საბოლოო შედეგი კი ყველას ერთი აქვს — სიბერე და

სიბერისთვის დამახასიათებელი პროცესები ამა თუ იმ ხარისხით ორგანიზმის თითქმის ყველა სისტემაში იჩენს თავს. სიბერე ყველაზე თვალნათლივ სხეულის გარეგან საფარველზე აისახება: მცირდება კანის ელასტიურობა, ჩნდება ნაოჭები, პიგმენტური ლაქები, პაპილომები და მეჭეჭები. საოფლე ჯირკვლები ნაკლებ სეკრეტს გამოყოფენ, რის გამოც კანი შრება და იქერცლება. თმის ბოლქვებში მცირდება სისხლმომარაგება და იცვლება თმის პიგმენტაცია — თმას ჭაღარა ერევა. გარდა ამისა, ირღვევა ადამიანის არსებობისთვის აუცილებელი სისტემების ფუნქციონირება. ასაკთან ერთად ხდება თავის ტვინის სისხლძარღვებში სისხლის მიმოქცევის დაქვეითება, ადვილად იღლება კუნთები, ირღვევა საჭმლის მონელების სისტემა, მცირდება სისხლ-ძარღვების ელასტიურობა, რაც იწვევს ინფარქტს და ინსულტს. ასაკთან ერთად ქვეითდება ფილტვების სასიცოცხლო ტევადობა — 75 წლისთვის ის მთელი ფილტვის 56%-ს უტოლდება. ასაკთან ერთად იღუპება ნეირონთა 75 პროცენტი. მცირდება როგორც თავის ტვინის, ისე მთელი ორგანიზმის ნერვული იმპულსებით მომარაგება. ზემოთ ჩამოთვლილი ყველა სიბერის მინიშანია, ანუ ორგანიზმის დონეზე არსებული მიზეზებია.

ერმან ჰესე კი, ასე ახასიათებს სიბერეს: „სიბერე ჩვენი ცხოვრების საფეხურია, რომელსაც ისევე, როგორც მის სხვა ეტაპებს, აქვს საკუთარი სახე, საკუთარი ატმოსფერო და ტემპერატურა, საკუთარი სიხარული და დარდი... იყო მოხუცი, ისევე შესანიშნავი და აუცილებელი ამოცანაა, როგორც იყო ახალგაზრდა, ისწავლო სიკვდილი და სიკვდილი ისეთივე საპატიო ფუნქციაა, როგორც სხვა ნებისმიერი, — იმ პირობით, თუ ეს სრულდება ყოველგვარი სიცოცხლის აზრისა და სიკვდილის წინაშე მონივნებით.“

იბადები, ცოცხლობ და მერე კვდები... უფრო სწორად ჯერ თეთრდები... წელში იხრები... პატარავდები... ნაოჭდები... თვალისჩინი და ყურთა სმენა გაკლებდება... მეხსიერება გიქვეითდება... და ა.შ. მხოლოდ ამ სიმპტომების შემდეგ ამ ქვეყანას ემშვიდობები...

მეტად საინტერესოა სიბერის მეცნიერული ახსნა. უამრავ თეორიას შორის განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობს ამერიკელი მეცნიერის, დილმანის მიერ შექმნილი დიდი ბიოლოგიური საათის თეორია, რომლის თანახმადაც, ყოველ ორგანიზმში მუშაობს სიბერის ნეიროენდოკრინული ბიოსაათი. ასაკის მატებასთან ერთად, ეს საათი მუშაობას წყვეტს და ჰომეოსტაზიც ირღვევა. ყოველივე ეს, ხელს უწყობს ორგანიზმის დაავადებებისადმი მიდრეკილებას და მის დაბერებას.

და მაინც, რა არის სიბერე?! ალბათ სიბერე სწორედ ის დროა, როცა ყველა თავის ცხოვრებას გადახედავს და შეაჯამებს, რა უკეთებია კარგი. მეცნიერები

კი თვლიან, რომ ჯანსაღი ცხოვრების წესი... ბევრი დადებითი ემოცია.. პრობლემებთან იოლად გამკლავების უნარი და არავითარი დეპრესია.. ნერვიულობა და ა.შ სწორედ ესაა სიცოცხლის ელექსირი...

თუ როგორ აღიქვამს ადამიანი საკუთარ ასაკს, ერთი მხრივ, დამოკიდებულია ინდივიდუალურ მიდგომასა და ცხოვრებისეულ ფილოსოფიაზე, მეორე მხრივ კი კონკრეტულ ქვეყანაში არსებულ სოციალურ, პოლიტიკურ და ეკონომიკურ მდგომარეობაზე.

ასე რომ ვისაც დიდხანს ცხოვრების სურველი გაქვთ და ფიქრობთ, რომ სი-

ნუ ეტყვი სიბერეს სამდურავს-ცოდვას! ნურც სახის ნაოჭი გაშინებს სარკეში... სიცოცხლე ძალიან, ძალიან ცოტაა- სინანულს არ მისცე უფლება თარეშის! სიძულვილს ნუ ეტყვი დათოვლილ ჭაღარას, დღეს ხარ და ხვალ იქნებ... ვინ იცის, აღარა... გულით ხომ ბავშვი ხარ, ისევე პატარა- წლებია ჭაღარა... ფერია, განა რა?..


ია ნანეიშვილი

საარსებო მინიმუმზე ბევრად დაბალია. მოხუცთა სახელმწიფო პანსიონატებში მცხოვრები თითოეული მოხუცისთვის სახელმწიფო ზრუნვის სააგენტო ბიუჯეტიდან ნიღურ თანხას გამოყოფს და მოხუცებს დამატებით არაფრის გადახდა აღარ სჭირდებათ. თუმცა, კანონის თანახმად, ამ თანხის მიღები აუცილებლად სოციალურად დაუცველი პირი უნდა იყოს. ფაქტია, რომ გაძვირებულ ფასებთან და, რაც მთავარია, სიბერის თანმხლებ დაავადებებთან გამკლავება, მხოლოდ საკუთარი პენსიით, ნებისმიერი მოხუცს უჭირს.

ტრადიციების კვალდაკვალ... ბევრი ხანდაზმულისთვის, რომელიც სიბერეში სხვადასხვა მიზეზის გამო, მარტო დარჩა, თავმესაფარში გადასვლა არის არა მხოლოდ მარტობასთან გამკლავებისა და ადამიანური ურთიერთობების შენარჩუნების შანსი, არამედ, პირველ რიგში, კვების, ღამის გასათევისა და ჯანმრთელობის დაზღვევის მინიმალური პაკეტის მოპოვების საშუალებაც. საქართველოს თერაპიის ინსტიტუტმა ჩაატარა კვლევა, რომლის მიხედვითაც გამოიკვეთა, რომ ქართველი მოხუცის დღეგრძელობა პირდაპირ კავშირშია მის საცხოვრებელ ადგილთან: საკუთარ ოჯახში მყოფი მოხუცი უფრო დიდხანს ცხოვრობს, ვიდრე ის, ვინც ნაჩვევ გარემოს მოშორებულია. კავკასიაში მიღებულია, რომ მოხუცი შვილებთან, შვილიშვილებთან უნდა ცხოვრობდეს, მაგრამ მათთვის ზედმეტ ტვირთად არ უნდა იქცეს, - ამბობს გერონტოლოგი, ტატიანა ზუბიაშვილი. შვილი ვალდებულია, მოხუც მშობელს დაუბრუნოს ის ამაგი, რაც დედ-მამამ ახალგაზრდობაში გასწიეს.

წლების განმავლობაში მკაცრად განერღვი ურთიერთობების გამო ბუნებრივია, მშობლის თავმესაფარში გაგზავნა ბევრი შვილისთვის სინდისის ქეჩხის მიზეზი ხდება. ზოგადად, კავკასიური და მათ შორის, ქართული წეს-ჩვეულებების მიხედვით, ჩვენთან დღემდე ნორმალურად ითვლება ის, რომ ერთ ჭერ-ქვეშ ცხოვრობდნენ ოჯახის სამივე თაობის წარმომადგენლები. შესაბამისად, ასეთ საზოგადოებაში პანსიონატში გადასვლა საყოველთაოდ მიღებული ნორმის დარღვევად ითვლება და ხანშიშესული ადამიანებისთვის ისეთ ფსიქოლოგიურ ტრავმას იწვევს, რომ შეიძლება, მათ დღეგრძელობაზეც იმოქმედოს.

აუცილებლად უნდა გვახსოვდეს — ჩვენც დაბერდებით!



ბერესთან შეგუება არც ისე რთულია, დაიმუხტეთ დადებითი ემოციებით.. ცხოვრება მშვენიერია თავისი დადებითი და უარყოფითი მხარეებით... რას გვეუბნება სტატისტიკა?!

როგორია ქართული რეალობა?!

ქართული ტრადიციის თანახმად, რაც განსაკუთრებით რეგიონებშია შენარჩუნებული, ერთ ოჯახში რამდენიმე თაობა ცხოვრობს, მოხუცი მშობლების თავმესაფარში გაგზავნა წარმოუდგენელი და მიუღებელია, მაგრამ სამწუხაროდ, სიტუაცია იცვლება და მოხუცთა თავმესაფარზე მოთხოვნა იზრდება. მიზეზი სხვადასხვაა, ზოგი უსახლკაროა და საკუთარი ღამის გასათევი არ გააჩნია, ზოგი კი ოჯახურ ძალადობას გამოექცა და მოხუცის ცხოვრება გაუსაძლისია საკუთარ ნაშრომ და ნაწვლებს ოჯახში. ზოგიც მარტოხელაა და საკუთარ თავზე ზრუნვა არ შეუძლია. მარტოხელა მოხუცები კი დამოუკიდებლად ვერ უზრუნველყოფენ საკუთარ სიბერეს, რადგან მათი პენსია

ილია მარტყოფლიშვილი, ნინო ნიკვაშვილი, თამილა ნადირაშვილი, მზია წყარუაშვილი, ნანული ნატროშვილი, მერაბ რიბიტაშვილი, ნანა ჭიჭინაძე ოჯახებით თანაგრძნობას უცხადებენ ჯანსუღ კახიძის სახელობის თბილისის მუსიკალურ-კულტურული ცენტრის სამხატვრო ხელმძღვანელს, კომპოზიტორს, დირიჟორსა და პიანისტს ვახტანგ კახიძეს და ამავე ცენტრის მხატვრული პროგრამებისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსს, მუსიკათმცოდნე თეონა კახიძეს დედის — ჭემმარიტი ხელოვანის, თბილისის კონსერვატორიის პროფესორის, თბილისის სიმფონური ორკესტრის მუსიკოსის, ღვანლომოსილი პიანისტის პანდა კახიძის გარდაცვალების გამო.

ნაზი მოსაშვილი, ილია ბიკაშვილი, თიკა ჭავჭავანიძე-ბიკაშვილი სამიძიარს უცხადებენ თამუნა და მარინა სიყმაშვილებს დედის ეთერ ჩოხელი-სიყმაშვილის გარდაცვალების გამო.

სხადღება აუქციონი!

ცხადდება აუქციონი დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების (საძოვარი) მიწის სარგებლობის უფლებით (იჯარით) 10 (ათი) წლის ვადით გადაცემის თაობაზე

ლოტი	მისამართი	ქონების დასახელება	საკადასტრო კოდი	ფართობი კვ.მ.	ქირის საწყისი წლიური საფასური (ლარებში)	„ბე“ ქირის საწყისი წლიური საფასურის %	„ბიჯი“ ქირის საწყისი წლიური საფასურის %	„მონაწილის ბილეთის“ ფასი (ლარებში)
1	დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სოფ.ოზაანის მიწათსარგებლობის ტერიტორია (ადგილი ტარიბანა)	სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა (საძოვარი)	52.41.32.003	933672	3780	10%	5%	100
2	დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სოფ.ოზაანის მიწათსარგებლობის ტერიტორია (ადგილი ტარიბანა)	სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა (საძოვარი)	52.41.32.002	100000	406	10%	5%	100

აუქციონში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ:

საქართველოს ან უცხო ქვეყნის ფიზიკურ ან იურიდიულ პირს, ან იმ პირთა გაერთიანებას რომლის ქონებამაც, საქართველოს სახელმწიფოს ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს მონაწილეობის წილი 25%-ზე ნაკლებია.

აუქციონში მონაწილეობის მსურველთა განაცხადების მიღება იწარმოებს დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ შენობაში (მე-3 სართული, მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული და შესყიდვების სამსახური. ანა ბენაშვილი), ინფორმაციის გამოკვეყნებიდან ყოველდღე, შაბათ-კვირის გარდა 10-დან 17 საათამდე, 30-ე კალენდარული დღის 13 00 სთ-მდე. იმ შემთხვევაში, თუ 30-ე კალენდარული დღე ემთხვევა დასვენების დღეს, მაშინ განაცხადების მიღება გაგრძელდება და შეწყდება მომდევნო პირველსავე სამუშაო დღეს, 13 00 სთ-ზე.

აუქციონი გაიმართება განაცხადების მიღების დამთავრების დღეს, 14 00 სთ-ზე. მისამართი: ქ. დედოფლისწყარო, მ. კოსტავას ქ. №44, 1-ლი სართული, სხდომათა დარბაზი.

აუქციონში მონაწილეობის მიღების მსურველი აუქციონის რეგისტრატორს (დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერია, მე-3 სართული, მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული და შესყიდვების სამსახურის მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი, ანა ბენაშვილი) წარუდგენს შემდეგ დოკუმენტებს:

1. განაცხადს, დადგენილი ფორმის მიხედვით;
2. „ბე“-ს და მონაწილის ბილეთის საფასურის გადახდის დამადასტურებელ ქვი-

თარს, რომელიც გადახდილ უნდა იქნეს შემდეგ ანგარიშზე: ერთიანი საბიუჯეტო ანგარიში 200122900; სახელმწიფო ხაზინა-220101222; კოდი-300533047 (თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული მიწის იჯარადან მიღებული შემოსავალი);

3. პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი (ფიზიკური პირის შემთხვევაში), ნოტარიულად დამოწმებულ სადამფუძნებლო დოკუმენტაციის ასლებს და განაცხადის შეტანის მომენტისათვის მოქმედ ამონაწერს სამენარმეო რეესტრიდან (იურიდიული პირის შემთხვევაში).

4. ნოტარიულად დამოწმებულ მინდობილობას, თუ იგი მოქმედებს სხვა პირის სახელით.

აუქციონში მონაწილეს ზემოთ ჩამოთვლილი დოკუმენტაციის რეგისტრატორთან წარმოდგენის შემდეგ გადაეცემა აუქციონზე დასწრების ბილეთი.

აუქციონში დამარცხებულს „ბე“ დაუბრუნდება, ხოლო აუქციონში გამარჯვებულმა პირმა აუქციონის ჩატარებიდან 30 დღის განმავლობაში უნდა გადაიხადოს საბოლოო თანხა. თუ გამარჯვებული აღნიშნულ თანხას არ გადაიხდის სრულად, მის მიერ შეტანილი „ბე“ უკან არ დაუბრუნდება.

გასაყიდი ქონებისა და აუქციონის პროცესის შესახებ დამატებითი ინფორმაციის მისაღებად მოგვმართეთ შემდეგ მისამართზე: ქ. დედოფლისწყარო, მ. კოსტავას ქ. №44, დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული შენობა, მე-3 სართული, მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული და შესყიდვების სამსახური.

საკონტაქტო ტელ: 599 85 58 40

როგორი იქნება განახლებული 10-ლარიანი?

2019 წლის პირველი ოქტომბრიდან საქართველოს ეროვნული ბანკი მიმოქცევაში განახლებულ 10 ლარის ნომინალის ბანკნოტებს გაუშვებს. ახალი მოდიფიკაციის 10 ლარის ნომინალის ბანკნოტები მიმოქცევაში წინა ნოტების გამოშვების იმავე ნომინალის ბანკნოტების პარალელურად იქნება.

განახლებული 10-ლარიანი ბანკნოტის წინა მხარეს გამოსახულია აკაკი წერეთლის განსხვავებული პორტრეტი გაუმჯობესებული რელიეფურობის ხარისხითა და მოცულობით, ასევე, ნაწყვეტი აკაკის ლექსიდან „გაზაფხული“ მისი ავტოგრაფით, აყვავებული რტო და მერცხალი.



ულოცავენ! მიუჩი პულიციუს და ნია ჩიბიუვილს!

ჩვენო სიამაყე შვილიშვილებო, გილოცავთ ინსტიტუტში ჩარიცხვას და გისურვებთ სწავლის წარმატებით დამთავრებას.

ნიკას ასევე ვულოცავთ ბათუმში ჩატარებულ საერთაშორისო ტურნირში ჩემპიონის ტიტულის მოპოვებას.

სიყვარულით, ბებო ლია ბენაშვილი და პაპა ბივი ჩიტიშვილი

ნანა ჭიჭინაძეს!

ქალბატონო ნანა, გილოცავთ მწერალთა კავშირის მიერ „ქართული კულტურის ამგდარის“ ნოდების მიწოდებას. ეს კიდევ ერთი ჯილდოა თქვენი თავდაუზოგავი შრომისათვის, რომელსაც სდებით მრავალი ღონისძიების მომზადებისას გამოჩენილი მუსიკოსების, მხატვრების და კულტურის დარგის სხვა მუშაკების საზოგადოებისათვის გაცნობის მიზნით. გისურვებთ ჯამთელობას, მხნეობას და მრავალი ახალი იდეის განხორციელებას.

ი. ჭავჭავაძის სახელობის მნიგნობართა ასოციაციის დედოფლისწყაროს განყოფილების გამგეობა და წევრები.

ყურადღება!

დედოფლისწყაროს სამედიცინო და კურორტული სასანავლო აცხადებს მიღებას პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე:

2019-2020 სასანავლო წლისთვის შიმშილსა და სპეციალურ გზაზე:

- * მედიცინა საბავშვო
- * სამედიცინო საბავშვო
- * ფარმაცია
- * სამართალმცოდნეობა
- * ფინანსები და ეკონომიკა
- * გეოგრაფია
- * ლაბორატორიული დიაგნოსტიკა
- * ორთოპედიული სტომატოლოგია
- * საბავშვო ბავშვის აღზრდელი მასწავლებელი (ძიძა)
- * ჯურნალისტიკა

სწავლების ვადა 2 წელი.
სასწავლებლად მიიღებიან 9, 10, 11 და 12 კლასდამთავრებულები.

საბუთების მიღება იწარმოებს 2 სექტემბრიდან. საჭიროა წარმოადგინოთ: განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი, 4 ფერადი ფოტოსურათი (ზომით 3/4) და პირადობის მოწმობის ასლი, განაცხადი (ადგილზე). გაიცემა ორენოვანი დიპლომი მუშაობის უფლებით.

- * ექთნის თანაშემწე
- * მოლარე-ოპერატორი
- * გულალტარი
- * სამკურნალო მცენარეობის სპეციალისტი

სწავლების ვადა 1 წელი.
გაიცემა ორენოვანი სერთიფიკატი.
დანვრისთვის ინფორმაციისთვის გთხოვთ მიმართოთ კოლეჯში შემდეგ მისამართზე: ქ. დედოფლისწყარო, კოსტავას ქ. № 40 (არქივის შენობა II სართული).

☎ 599 74 73 98, 555 20 04 35,
593 96 68 33, 574 20 20 92

მ ა დ ლ ი ე რ ე ბ ა

უკვე მეორე წელია, ბარათაშვილის ქუჩაზე მცხოვრები ბავშვები ელოდნენ სტადიონის კეთილმოწყობას.

დადგა ეს ნანატრი დღეც. დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერიისა და საკრებულოს შემნებებითა და ტენდერში გამარჯვებული შპს „საგზაო-333“-ის ნაყოფიერი მუშაობით სტადიონი უკვე კეთილმოწყობილია. რეაბილიტაცია ჩაუტარდა ფეხბურთისა და კალათბურთის მოედნებს, გაკეთდა ახალი გალავანი, ატრაქციონები, დაიგო მწვანე ხელოვნური საფარი, აღდგენილია განათებები. გვინდა, გულწრფელი მადლობა გადაუხადოთ მუნიციპალიტეტის მერს ნიკოლოზ ჯანაში-

ვილს, პირველ მოადგილეს დავით ფხოველიშვილს, საკრებულოს თავმჯდომარეს ნუგზარ პაპიაშვილს, ზედამხედველს ვაჟა მეხრიშვილს, შპს „საგზაო-333“-ის ხელმძღვანელს ზეზა ჩარქელიანს, მოადგილეს გიორგი სანთელაძეს, სამუშაოთა მწარმოებელს გაიოზ ნაკაშიძეს, ხელოსან გელა ნაკაშიძეს, მუშას გოგიტა სიჭინავას.

მათი დაუღალავი, ნაყოფიერი და ხარისხიანი მუშაობის შედეგად ჩვენს ბავშვებს უკვე აქვთ კეთილმოწყობილი და საუკეთესო დასასვენებელი ადგილი.

მადლიერების გრძნობით,
პარლამ ქადაგიძე.

ა მ ი ნ დ ი		დ ე დ ო ფ ლ ი ს		ს შ ა რ ო	
ორშაბათი 30.09 დღე	სამშაბათი 01.10 ღამე	ოთხშაბათი 02.10 დღე	ხუთშაბათი 03.10 ღამე	პარასკევი 04.10 დღე	შაბათი 05.10 ღამე
15°	14°	18°	16°	18°	17°
18°	16°	20°	18°	18°	17°
20°	18°	18°	17°	18°	16°
18°	17°	18°	16°	18°	17°
20°	15°	20°	15°	20°	15°

გამომცემელი შპს „შირაქი“ დირექტორი ინგა შიოლაშვილი რედაქტორი ნაირა გორაშვილი-პოპიაშვილი წერილობითი მთავარი ფაქტებსა და ციფრებს პასუხს აძებს ავტორი.	სარედაქციო კოლეგია: შუშუნა ყანაშვილი (ეურნალისტი); ელზა ხარაშვილი (სტილისტ-მენეჯერი); ნათელა პოსტაშვილი (ბუღალტერი); ნინო ჯანაშვილი (ოფის-მენეჯერი); მზინა მენაძე (დისტრიბუტორი); ზურაბ ბუნაშვილი (კომპიუტერული უზრუნველყოფა). გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა „შირაქის“ კომპიუტერულ ბაზაზე. ყოველკვირეული გამოცემა იბეჭდება შ.პ.ს „ელორ პრესის“ სტამბაში.	რედაქციის მისამართი: ქალაქი დედოფლისწყარო, ფიროსმანის №18, ტელ. 0 356 22 55-49; 598 72-18-72 (დირექტორი) 591-97-73-26 (რედაქტორი)	რეგისტრირებულია დედოფლისწყაროს რაიონის სასამართლოს მიერ, №6014-468.
--	--	---	---